ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

თეონა საგინაძე

# აღზრდა, მართვა, სახელმწიფო და განათლება
# (ზოგიერთი ასპექტი)

*სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.*

ხელმძღვანელი: ნესტან მამუჭაძე

მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2021

**ანოტაცია**

სახელმწიფოს განვითარებისთვის რომ აღზრდა, განათლება და კარგი თვისებების მქონე მმართველია საჭირო - დაუწერელი კანონია. სწორედ აღნიშნულ თემას ეხება ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი. ცხადია, ის სახელმწიფო არის ძლიერი და განვითარებული, სადაც ქვეყნის სათავეში განათლებული, კარგად აღზრდილი და ძლიერი მმართველის თვისებების მქონე პირი დგას.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისგან. საკუთრივ თავები დაყოფილია ქვეთავებად, რაც ხაზს უსვამს მის ეფექტურობას და პრაქტიკულ ღირებულებას.

რა არის აღზრდა, რა არის მართვა, განათლების აუცილებლობა აღზრდის საქმეში, განათლების აუცილებლობა მართვაში, სახელმწიფოს როლი აღზრდა - განათლების საქმეში, მართვა, სახელმწიფო და გადაწყვეტილების მიღება - ამ ყველაფერთა პარალელებმა საინტერესო შედეგამდე მიგვიყვანა.

მეტი სიცხადისთვის და აქტუალურობისთვის ჩავატარეთ სოციალური კვლევა, რათა გამოგვეკვეთა რიგი პრობლემური, ამავდროულად საინტერესო ასპექტები და მათივე გადაჭრის გზები დაგვესახა. ბუნებრივია, შედეგმაც არ დააყოვნა. სამაგისტრო ნაშრომი ცხადყოფს სიახლეთა წყებას, რაც ვფიქრობ, რომ დასაფიქრებელი, გასააზრებელი და გასათვალისწინებელია.

## Annotation

Upbringing, education and good qualities are necessary for the development of the state - it is an unwritten law. This is the topic of our master's thesis. The state is strong and developed, where the head of the country is well-educated with strong personal qualities .

The master thesis consists of an introduction, four chapters and a conclusion. The chapters themselves are divided into subsections, emphasizing its effectiveness and practical value.

What is upbringing, what is management, the need for education in upbringing, the need for education in management, the role of the state in upbringing - education, management, the state and decision-making - the parallels of all this have led to interesting results.

For more clarity and urgency, we conducted a social survey to identify a number of problematic, at the same time interesting aspects and to find ways to solve them. Naturally, the result was not delayed. The master's thesis reveals a series of innovations that I think are conceivable, thought-provoking, and predictable.

**სარჩევი**

**შესავალი-------------------------------------------------------------------------------------5**

**თავი 1. აღზრდისა და მართვის ერთობლიობა------------------------------------------9**

თავი1.1 რა არის აღზრდა-------------------------------------------------------------9

თავი 1.2 რა არის მართვა ( მართვის ფუნქციის არსი) ---------------------------------16

თავი 1.3 აღზრდის და მართვის ურთიერთმიმართებისათვის ( რა კავშირშია აღზრდა და მართვა------------------------------------------------------------------------20

**თავი 2. განათლების რამდენიმე ფუნქციური ასპექტი--------------------------------25**

თავი 2.1 რა არის განათლება---------------------------------------------------25

თავი 2.2 განათლების აუცილებლობა აღზრდის საქმეში-----------------------28

თავი 2.3 განათლების აუცილებლობა მართვაში--------------------------------31

**თავი 3. სახელმწიფო და მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რამდენიმე კომპონენტი-----------------------------------------------------------------------------35**

თავი 3.1 რა არის სახელმწიფო----------------------------------------------------35

თავი 3.2 სახელმწიფოს როლი აღზრდა-განათლების საქმეში-------------------41

თავი 3.3 მართვა, სახელმწიფო და გადაწყვეტილების მიღება---------------------47

თავი 3.4 გადაწყვეტილების მიმღები ( მისი ფუნქციური როლი ზემოთ განხილული საკითხების კვალდაკვალ)----------------------------------------------52

**თავი 4 სოციალური კვლევა---------------------------------------------------------57**

დასკვნა----------------------------------------------------------------------------69

დანართი--------------------------------------------------------------------------71

ბიბლიოგრაფია-----------------------------------------------------------------------86

## შესავალი

სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმაა. მისი ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოებრივი წყობისა და წესრიგის დაცვა კონკრეტულ ტეროტორიულ ჩარჩოში მცხოვრები ადამიანების მოღვაწეობასა და ქცევაზე; ნების, თავისუფლების, ხელისუფლების ავტორიტეტის, იძულების და სხვა მეთოდების ზემოქმედების საშუალება, რომელთა მთავარი მიზანია ძლიერი სახელმწიფოს სტატუსის ქონა. სახელმწიფოს განმაპირობებელი ნიშანია განსაზღვრული ტერიტორიის არსებობა, რომელზეც ვრცელდება კანონები და მართვის სისტემა.

სახელმწიფო ფუნქციონირებს მაშინ, როცა მასში მცხოვრებ მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის საზოგადოებრივი ხელშეკრულებაა გაფორმებული, სადაც თითოეული მხარე იღებს პასუხისმგებლობას. საკუთრივ, ხელისუფლება კი საზოგადოებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ასრულებს მმართველობით და დამცველობით ფუნქციებს. შესაბამისად, ერთმანეთს უთავსებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, აკონტროლებს მოქალაქეების მიერ კანონებისა და წესების დაცვას, ეძებს როგორც უფლებების, ასევე მოვალეობების შეფარდების გზებს. მოქალაქეებიც საკუთრივ ვალდებულნი არიან შეასრულონ ის მოვალეობები, რასაც სახელმწიფო ავალდებულებს, რიგ შემთხვევაში უფლება აქვთ კორექტივები შეიტანონ სახელმწიფოს მოქმედებაში და ამ მიზნით ისეთ ფორმას მიმართავენ

როგორიცაა: თანამდებობის პირების არჩევა, კანონმდებლობის ცვლილება, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა თუ სხვ.

**თემის აქტუალურობა**: სახელმწიფოს როლი აღზრდა - განათლების საქმეში ამოუწურავი თემაა და ნებისმიერ ეპოქაში აქტუალური. სახელმწიფო ვალდებულია მასში მცხოვრებ მოქალაქეს შეუქმნას ისეთი პირობები, სადაც მიიღებს კარგ, ხარისხიან, სრულფასოვან განათლებას. ხელი შეუწყოს აღზარდოს თავაზიანი, შრომისმოყვარე, მზრუნველი, პატივსაცემი და რაც მთავარია, სამშობლოს მოყვარული მოქალაქეები. საკუთრივ, სკოლა, ოჯახი და საზოგადოება ქმნიან ერთიან ჯაჭვურ სისტემას, რომელსაც ერთი მიზანი და მისწრაფება აქვთ, აღზარდონ კარგად აღზრდილი, განათლებული, საღად მოაზროვნე პიროვნებები. რომელიმე რგოლის უგულებელყოფა ან გამოტოვება გამორიცხულია, რადგან ერთმანეთს ავსებენ, ერთი ინტერესის ქვეშ ერთიანდებიან.

განათლების აუცილებლობა აღზრდის საქმეში უპირობოა. ის სახელმწიფო არის ძლიერი, რომელსაც მეტი განათლებული მოქალაქე ჰყავს. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებაც არ იქნება მათთვის პრობლემური საკითხი, ყველა პრობლემას გადაჭრიან ადეკვატურად და ეცდებიან იპოვონ კონკრეტული გზები, შეინარჩუნონ სიმშვიდე და ნებისყოფა.

**სამაგისტრო ნაშრომის მიზანია** - არგუმენტირებულად ჩამოვაყალიბოთ და ნათელი გავხადოთ სახელმწიფოს როლი აღზრდა-განათლების საქმეში, რამდენად მნიშვნელოვანია განათლების აუცილებლობა მართვაში; გავარკვიოთ რა უწყობს ხელს ძლიერი სახელმწიფოს შექმნას და ჩამოყალიბებას და რა როლს ასრულებს მართვა, აღზრდა და განათლება სახელმწიფოს განვითარებაში. გავიგოთ თუ როგორი უნდა იყოს კარგი მმართველი, რა ფუნქციებს უნდა ითავსებდეს და გავაცნობიეროთ მართვა ხასიათის თავისებურებაა, ვალდებულება თუ არჩევანი ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

**ამოცანები:**

1. სახელმწიფოს ცნების განმარტება და მისი როლის დადგენა მოქალაქეების აღზრდა - განათლების საქმეში;
2. გადაწყვეტილების მიმღები, მისი ფუნქციის და მოვალეობის როლი განხილული საკითხების კვალდაკვალ;
3. აღზრდისა და მართვის ფუნქციის არსი, თუ რა კავშირშია აღზრდა და მართვა ძლიერ სახელმწიფოს სახესთან;
4. რამდენად საჭიროა განათლების აუცილებლობა აღზრდის საქმეში. ასევე, რამდენად მნიშვნელოვანია განათლების აუცილებლობა მართვაში;
5. სახელმწიფო და მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რამდენიმე კომპონენტი, რომელიც თავისთავში მოიცავს, მართვას, სახელმწიფოს და გადაწყვეტილების მიღებას.

**კვლევის მეთოდები** - სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია სოციალური გამოკვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდები, რომლის მეშვეობითაც შევეცადეთ გამოგვეკვეთა საკვლევი თემის დღეისთვის აქტუალური პრობლემები.

ასევე, გამოყენებულია სხვადასხვა მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები, სტატიები და ინტერნეტ წყაროები.

**თემის სტრუქტურა** - სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 88 გვერდს. ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. თავები კი დაყოფილია ქვეთავებად, რაც ნაშრომს ეფექტურს, პრაქტიკულს და საინტერესოს ხდის. ამასთანავე, თემას თან ერთვის დანართი და გამოყენებული ლიტერატურული ნუსხა.

**პირველი თავი** - ,,აღზრდისა და მართვის ერთობლიობა“ შედგება სამი ქვეთავისგან. აქ საუბარია აღზრდისა და მართვის ცნებაზე, მართვის ფუნქციის არსზე. წარმოდგენილია აღზრდისა და მართვის ურთიერთმიმართების მიმოხილვა, თუ რა კავშირშია აღზრდა და მართვა ერთმანეთთან.

**მეორე თავი** - ,,განათლების რამდენიმე ფუნქციური ასპექტი“ შედგება სამი ქვეთავისგან. მასში განხილულია განათლების ცნება, მისი ფუნქციური დანიშნულება, განხილულია თუ რამდენად მნიშვნელოვანია განათლების აუცილებლობა მართვაში. ასევე, განათლების აუცილებლობა აღზრდის საქმეში.

**მესამე თავი** - ,,სახელმწიფო და მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რამდენიმე კომპონენტი“ ოთხი ქვეთავისგან შედგება. აქ ვსაუბრობ, სახელმწიფოს რაობაზე, სახელმწიფოს როლს აღზრდა - განათლების საქმეში, განხილულია მართვა, სახელმწიფო და გადაწყვეტილების მიღება რამდენად თანხვედრაში მოდის ერთმანეთთან. ასევე, ვინ არის გადაწყვეტილების მიმღები, მისი ფუნქციური დანიშნულება განხილული საკითხების კვალდაკვალ.

**მეოთხე თავი** - წარმოადგენს სოციალურ კვლევას.

# თავი- 1

## აღზრდისა და მართვის ერთობლიობა

,,თუ წყალი სათავეშივე აიმღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის“...

ილია ჭავჭავაძე

### 1.1 რა არის აღზრდა

აღზრდა, როგორც საზოგადოების განვითარების აუცილებელი ფაქტორი, გაჩნდა ადამიანთა გაჩენისთანავე. აღზრდა მარადიული კატეგორიაა და იარსებებს მანამ, ვიდრე არსებობს საზოგადოება. რამდენადაც მარადიულია აღზრდა, იმდენად ცვალებადია იგი.

აღზრდის წარმოშობის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. გამოყოფენ ორ ძირითად კონცეფციას: ევოლუციურ-ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური. პირველი კონცეფციის მომხრენი ( შ. ლეტურნო, ჯ. სიმპსონი, უოტსონი) მიიჩნევენ, რომ აღზრდის საწყისები მოიძებნება ცხოველებში, ფრინველებში და მწერებშიაც კი. აღზრდას განიხილავენ როგორც ბიოლოგიურ მოვლენას, უარყოფენ აღზრდის შეგნებულ ხასიათს და მასში ხედავენ სტიქიურ ბუნებრივ პროცესს. მეორე კონცეფციის მომხრენი, აღზრდის წარმოშობას უკავშირებენ ისეთ ქმედებას, როგორიცაა ბავშვის არაშეგნებული მიბაძვა უფროსებისადმი. აქედან გამომდინარე, მიბაძვას ნამდვილად აქვს ადგილი აღზრდის პროცესში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს თეორია მაინც მცდარია, რადგან არ შეიძლება ცხოველის ინსტიქტური მოქმედება ადამიანის შეგნებულ, გაცნობიერებულ საქნიანობასთან გავაიგივოთ და მხედველობაში არ მივიღოთ ამ საქმიანობის სოციალურ- ისტორიული განპირობებულობა.

ამრიგად, ორთავე კონცეფცია, მიუხედავად მათი ცალმხრივობისა მართებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ისინი ერთმანეთს ავსებენ.

აღზრდის ცვალებადობა და მისი კლასობრივი განვითარების ფორმები ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში ჩნდება. პირველყოფილი საზოგადოება იყო უკლასო. ამიტომ აღზრდა მასში ყველა ბავშვისთვის თანასწორ ხასიათს ატარებდა, საზოგადოების განვითარების შემდგომ საფეხურზე აღზრდა უფრო რთულდება, ღებულობს გეგმაზომიერ და მიზანმიმართულ ხასიათს. ახლა უკვე საგვარეულო თემი ბავშვების აღზრდას ანდობს უფრო გამოცდილ ადამიანებს. აქ უკვე თავი იჩინა სამხედრო აღზრდის საწყისებმა: ბიჭებს ასწავლიდნენ მშვილდისრით სროლას, ცხენოსნობას და სხვ. ანუ, ამით ხდებოდა ცხოვრებისათვის მათი მომზადება: გაჭირვების ატანა, გამძლეობა, სიმტკიცე, პრობლემებთან შეჭიდება  და სხვ.

პირველყოფილი საზოგადოების დაშლისა და მონათმფლობელური საზოგადოების პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ოჯახის გაჩენა. ოჯახის გაჩენასთან ერთად, გაჩნდა ოჯახური აღზრდაც, რამაც დიდი როლი ითამაშა აღზრდის მეთოდების კიდევ უფრო დახვეწასა და ფორმირებაში. მიიჩნევდნენ, რომ აღზრდის საბოლოო მიზანია ,,მიაღწიო დიდებას, აჯობო გმირობაში მამას“. ყველა ამ თვისებათა ფორმირებისთვის აღმზრდელები იყენებდნენ ისეთ ხერხებს, როგორიცაა: შთაგონება, გაკიცხვა, შექება და აკრძალვა.

ამის კლასიკური მაგალითია ,,სპარტანული აღზრდა“, რომელიც მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო, მიზნად ისახავდა გაწვრთნილი მეომრების, მომავალი მონათმფლობელების მომზადებას. სუსტ და მახინჯ ბავშვებს დაბადებისთანავე კლავდნენ, რადგან მათგან კარგი მეომრები არ დადგებოდა, ჯანმრთელებს კი აძლევდნენ ძუძუმაწოვებელ ქალებს, რომლებსაც დიდ პატივს სცემდნენ, როგორც პროფესიონალ აღმზრდელებს.

რა არის აღზრდის ძირითადი მიზანი? აღზრდის ძირითად მიზნად უძველესი დროიდან მიჩნეული იყო პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება. მის

ფიზიკურ და გონებრივ ძალთა შორის არსებული განსხვავების მოსპობა, განადგურება. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები: დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე მოითხოვდნენ პიროვნების სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიულ განვითარებას, რაც ანტიკური ეპოქის ლიტერატურაში გამოიხატა ფორმულით: ,,კალოს კაი აგატოს"- ჩინებული გარეგნულად, ანუ ფიზიკურად და შინაგანად ანუ სულიერად. სწორედ ასეთი ადამიანის ჩამოყალიბებაში არისტოტელე გულისხმობდა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას.

მოგვიანებით, აღორძინების ეპოქის ჰუმანისტებმა ყურადღება მიაქციეს ესთეტიკურ აღზრდას, ხოლო სოციალისტებმა - თომას მორმა, თომაზო კამპანელამ, შარლ ფურიემ და სხვებმა შრომით აღზრდაზე და მის უდიდეს როლზე პიროვნების ფორმირების საქმეში. ასე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების შინაარსი - ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა.

აღზრდის პიროვნული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ სხვადასხვა ეპოქაში ყველა ადამიანი განიხილავდა და წერდა. თაგორს მიაჩნდა, ,,რომ კაცობრიობის ყველა პრობლემამ აღზრდაში უნდა ჰპოვოს გადაწყვეტა". ,,ყველაფერი ის რაც არ გაგვაჩნია დაბადებისას და უიმისოდ არ ვარგივართ დიდობაში, მოგვცა აღზრდამ" წერს ჟან ჟაკ რუსო, ხოლო რ. ოუენს მიაჩნდა, რომ - ,, ქვეყნად არსებული ყოველი სიკეთისა და ბოროტების, უბედურებისა და ბედნიერების პირველი წყაროა - აღზრდა". ოუენი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა პედაგოგთა შერჩევას. ის პედაგოგთა მთავარ ღირსებად და განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა არა განათლებულობას, არამედ ბავშვის სიყვარულს, მათდამი კეთილგანწყობას, სიკეთესა და პატიოსნებას. ენგელსი წერდა:,, ოუენმა მოიგონა და პირველად ნიუ-ლანარკში შემოიღო საბავშვო ბაღები. ორი წლის ასაკიდან ბავშვები მოჰყავდათ საბავშვო ბაღში, სადაც ისინი ისე კარგად ერთობოდნენ, რომ ძნელი ხდებოდა მათი შინ წაყვანა".

(ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების სხვადასხვა ასპექტები, 2018წ, 257გვ).

რითი განსხვავდება ერთმანეთისგან აღზრდა და სწავლება?

სწავლება აღზრდის საშუალებაა. აღზრდა წარმოუდგენელია სწავლების, ცოდნა - გამოცდილების, საჭირო ინფორმაციების გადაცემის და მოსწავლის მიერ მისი როგორც მიღების, ასევე ათვისების გარეშე, თუმცა ორივეს ახასიათებთ განსხვავებული, სპეციფიკური ნიშნები. სწავლების სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის წინ უსწრებს აღზრდას, ქმნის ერთგვარ ცოდნის ფონდს, განსაზღვრულია რეგლამენტით და შეგრძნებებზეა დამყარებული, ამიტომ მისი შედეგი მალევე გაზომვადია. აღზრდა სწავლების ფუნქციაც არის და შედეგიც, ის არ ჯდება რეგლამენტში, მას არ აქვს გარკვეული დოგმა, რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელო, იგი ძირითადად ადამიანის ფსიქოლოგიური, სულიერი, მორალურ-ემოციური, მსოფლმხედველური მდგომარეობაა.

გამოყოფენ აღზრდის შემდეგ სახეებს:

**შრომითი აღზრდა** - მართალია მოსწავლეთა უპირველესი მოვალეობაა სწავლა, გონებრივი შრომა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვი პატარაობიდან არ მივაჩვიოთ ფიზიკურ შრომას და ამ შრომაში მიღწეული წარმატებით გამოწვეულ ზღვა ემოციასა და სიხარულს. შრომას დიდი ყურადღება ექცეოდა ყველა დროსა და ეპოქაში, ხოლო პიროვნების ფორმირების საქმეში შრომის როლის აღიარება და დასაბუთება მოხდა მხოლოდ ბურჟუაზიული წყობილების გარიჟრაჟზე. შრომა როგორც ადამიანობის საფუძველი ყველაზე ადრე თომას მორმა გამოაცხადა თავის სოციალურ რომანში ,,უტოპია“.

ფრანგმა განმანათლებელმა ჟან-ჟაკ რუსომ ფიზიკური შრომა საზოგადოების ყველა წევრისათვის სავალდებულოდ გამოაცხადა, განურჩევლად მათი წოდებრივი კუთვნილებისა და ქონებრივი მდგომარეობისა.

ამრიგად, შრომასთანაა დაკავშირებული ყოველივე ის, რაც კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე შეუქმნია და დაუგროვებია, შემდგომ კი გაუზიარებია, მატერიალური თუ სულიერი კულტურის სფეროში. მხოლოდ შრომით მიაღწია ადამიანმა იმ დონეს რომელზედაც მან შეძლო შეექმნა ისეთი ფასდაუდებელი ძეგლები ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების დარგში. მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ედისონი ამბობდა: ,,გენიოსობა 95% შრომაა და 5% ნიჭიო“.

**ესთეტიკური აღზრდა** - ესთეტიკა არის მეცნიერება მშვენიერების შესახებ, მშვენიერება კი ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს ბუნებაში. ესთეტიკურად განათლებულ ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი - დაინახოს ლამაზი, მშვენიერი, სადაც იგი შეიძლება არსებობდეს - ეს იქნება ბუნებაში, ყოფა-ცხოვრებაში, საჯარო დაწესებულებაში თუ ხელოვნების ნიმუშებში და რაც მთავარია დატკბეს მისი მშვენიერებით.

ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში საუკეთესო საშუალებაა გავეცნოთ არამარტო უცხოელი, არამედ ქართველი მწერლების - ალექსანდრე ყაზბეგის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნოდარ დუმბაძის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა ნაწარმოებებს. ისინი არამარტო ცოდნას გვაზიარებენ, არამედ გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ დავტკბეთ, განვიცადოთ ის ზღვა ემოცია, რაც კითხვის დროს შეგვექმნება.

ესთეტიკური აღზრდა არ უნდა იყოს დროებითი მოვლენა. ბავშვობიდანვე უნდა იწყებოდეს და გრძელდებოდეს მთელი ცხოვრება. ესთეტიკური აღზრდის ფორმები ბავშვებს, შემდგომ კი პიროვნებებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ იხილონ ადამიანთა ყოფაქცევის ესთეტიკა სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში. მათი ყურადღება უნდა მივაპყროთ ადამიანთა ფაქიზ, სათუთ, კულტურულ მანერებზე და მოვითხოვოთ შეძლებისდაგვარად ამ მანერების გადაღება.

**ზნეობრივი აღზრდა -** ზნეობრივი აღზრდა პიროვნების ფორმირების ძირითადი შემადგენელი ნაწილია და აპირობებს მის საზოგადოებრივ ღირებულებას. ზნეობა ანუ მორალი არის საზოგადოებაში დაწესებული ქცევის, მოქმედების, ნორმებისა და წესების ერთობლიობა, რომელსაც სწავლობს ეთიკური მეცნიერება, ხოლო ზნეობრივი აღზრდა კი ემსახურება ამ ნორმებისა და წესების როგორც ათვისებას, ასევე მის დაცვას.

ადამიანურობის უმაღლეს კატეგორიად ციცერონი სწორედ, რომ ჰუმანიზმს მიიჩნევდა, ზნეობის საფუძვლად კი - განათლებას. ,,ჯერ დაეუფლე კეთილზნეობას, ხოლო შემდეგ სიბრძნეს, რადგან პირველის გარეშე ძნელია ისწავლო ეს უკანასკნელი“ (პედაგოგიკა, 2009წ, 142 გვ)

კვინტილიანე კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ საკითხს: ,,ყველაფერზე წინ ზნეობა უნდა იდგესო“ და იქვე დასძენდა: ,,შეუძლებელია უპატიოსნო ადამიანი გახდეს ჭეშმარიტი ორატორი“-ო. ,,ბრძენი რომაელის აღზრდა“ მას ვერ წარმოედგინა ზნეობრივი აღზრდის გარეშე“. (პედაგოგიკა, 2009წ, 143გვ).

ზნეობა გვიჩვენებს ადამიანის დამოკიდებულებას სხვა ადამიანისადმი, თანამშრომლებისადმი, საზოგადოებისადმი. ის არის საზოგადოების ისტორიული განვითარების მანძილზე ჩამოყალიბებული ქცევის, ნორმების, წესებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას და საკუთარი თავის რეალიზებას საზოგადოებაში. ეს წესები და ნორმები საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან, მაშინ როცა არ არსებობდა არც რელიგია, არც თემი და არც სახელმწიფო, რადგან საზოგადოებას ზნეობის, მორალის გარეშე არსებობა არ შეუძლია.

ზნეობრივი ნორმები მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლებრივ ნორმებთან, ორივეს მიზანია ადამიანთა ურთიერთობის მოწესრიგება, დარეგულირება საზოგადოებაში, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არსებობს, სამართლებრივი ნორმების დარღვევისთვის ადამიანი კანონით ისჯება, ზნეობრივი

ნორმების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მხოლოდ საზოგადოების გაკიცხვას იმსახურებს. გამოდის რომ ზნეობრივი ნორმები ერთგვარი დაუწერელი კანონია, რომელსაც ადამიანები ნებაყოფილობით ასრულებენ. ადამიანს მხოლოდ საკუთარი თავი, საკუთარი სინდისი ჰყავს შემმოწმებლად და მსაჯულად.

**პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდა** - პატრიოტიზმს საყოველთაო, საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, მაგრამ ხალხის ცხოვრების პირობებისა და განვითარების შესაბამისად სპეციფიკური, ეროვნული ნიშნებიც გააჩნია. ,,სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია?! ამ კითხვას სვამს საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ბოჭორიშვილი და დასძენს: - არა! სამშობლო - უპირველეს ყოვლისა, ის არის, ვინც ეს მთა და ბარი, მიწა და წყალი სისხლით და ოფლით, ბრძოლით და შრომით საუკუნეთა უფსკრულიდან ზე ამოსწია, წვითა და დაგვით XIX საუკუნის მიჯნამდე მოიტანა, შემდეგ, მთელ საუკუნეს ხალხთა საპყრობილეებში მყოფმა არ დაკარგა ენა და ჩვევა... გამოჰგლიჯა ჩვენი ქვეყანა სიღატაკეს, შიმშილს, უმეცრებას...“. სწორედ ამ მიდგომით უნდა ვასწავლოთ ჩვენს მოზარდ თაობას სამშობლოს სიყვარული.

,,ძლიერი სიყვარული სამშობლოსი, - წერდა ი. გოგებაშვილი, - ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობას“. გამოდის, რომ პატრიოტიზმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მისი ხალხური ინტერნაციონალური ხასიათი. აქედან გამომდინარე, ჯერ სკოლა შემდეგ კი საზოგადოება მოწოდებული უნდა იყოს აღზარდოს არავიწრო, ნაციონალური ინტერესების შემოფარგლული ახალგაზრდობა, არამედ ისეთი მომავალი თაობა, რომელსაც, თავის სამშობლოსა და ხალხთან ერთად, ეყვარება მსოფლიოს ყველა ხალხი, ვინაიდან ჭეშმარიტი პატრიოტი ისაა ვინც პატივს სცემს და აფასებს არამარტო საკუთარ თანამოქალაქეებს, არამედ სხვა ეროვნების ადამიანს.

**ოჯახის როლი ბავშვის აღზრდასა და პიროვნების ჩამოყალიბებაში** - აღზრდის პირველადი კერა ოჯახია. აქ უჩნდება პირველი შეხედულებები სამყაროზე, ცხოვრებაზე, მის გამოწვევებზე და ზოგადად ადამიანის დანიშნულებაზე. ოჯახი ის

კერაა, სადაც ინასკვება მომავალი მამულიშვილის ხასიათის ნიშნები, იჭედება ადამიანის სული. ოჯახი სახელმწიფოს პირველადი უჯრედი და საყრდენი, მისი წინსვლა-განვითარების აუცილებელი პირობაა. ოჯახის სიმტკიცე ნიშნავს საზოგადოების სიმტკიცეს, საზოგადოების სიმტკიცე კი ქვეყნის განვითარების საწინდარია.

ოჯახში იქმნება ხელსაყრელი პირობები ბავშვთა მრავალმხრივი, ჰარმონიული განვითარებისთვის, მათი კრეატიულობის, შემეცნებითი ძალების გაშლა-გაფურჩქვნისა და მომავალში საზოგადოებისთვის სასარგებლო პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის.

ამრიგად, აღზრდის ფუნქციის წარმატებით განხორციელების მაჩვენებელია პიროვნების გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარების, მისი შეგნების, მოქმედების და გრძნობების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონე, რაც ხელს შეუწყობს პიროვნების საბოლოოდ ფორმირებას, მის საზოგადოებასთან ადაპტირებას.

## 1.2 რა არის მართვა

მართვა არის შეგნებული მიზანმიმართული ზემოქმედება სუბიექტებისა და ორგანოების მხრივ ადამიანებსა და ეკონომიკურ ობიექტებზე, რომელიც ხორციელდება სასურველი შედეგების მიღების მიზნით. მართვა წარმოადგენს ორგანიზაციის ერთ-ერთ ელემენტს და განსაზღვრავს მიზანთან მისასვლელ გზებს,

ამ ორგანიზაციის საქმიანობას. ეს იქნება როგორც დაგეგმვის, ასევე ორგანიზების, მოტივაციისა და კონტროლის პროცესი, მაშინ როცა დანახარჯები იქცევა პროდუქციად.

პატარა ორგანიზაციებში ადამიანთა ის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მართვის პროცესს, მკაფიოდ არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული. მაგალითად, პატარა საწარმო, რომელიც სამი ადამიანის კუთვნილებაა, მმართველობითი ფუნქციები პარტნიორებს შორის განაწილებულია მათი მუშაობის გრაფიკის შესაბამისად. ამასთან, საყურადღეობოა ისიც, რომ პარტნიორები ასრულებენ არამმართველობით ფუნქციებსაც, როცა ემსახურებიან მომხმარებლებს. ისინი ერთმანეთს არ თვლიან უფროსებად, ისინი არიან ერთმანეთის მიმართ თანასწორუფლებიანი. თუმცა მმართველობითი ფუნქციები არ არის გამოყოფილი მკაფიოდ, მართვის მთავარი დანიშნულებაა კოორდინაციის გნხორციელება და რაც მთავარია - შედეგი.

მართვის პროცესი გულიხმობს კონკრეტული მიზნის მისაღწევად განხორციელებულ, ერთმანეთთან დაკავშირებულ მოქმედებათა ციკლს. ამ მოქმედებებს უწოდებენ მართვის ფუნქციებს. ამიტომაც, მართვის, როგორც პროცესის განხილვა პირველად სცადეს ადმინისტრაციული მართვის სკოლის წარმომადგენლებმა, მაგრამ მათი შეხედულებები არ მოიცავდა ფართო ასპექტს, ისინი ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ ხელმძღვანელის ფუნქციები ერთმანეთისგან იზოლირებულად, რაც ეწინააღმდეგება მართვის, როგორც პროცესის გაგებას.

დაგეგმვა, როგორც მართვის ფუნქცია, გულისხმობს თუ როგორი უნდა იყოს მმართველის მიზნები და რა უნდა გააკეთოს მან, მის ირგვლივ შემოკრებილი სანდო პირების, წევრების დახმარებით სასურველი შედეგის მისაღწევად. დაგეგმვის მეშვეობით შესაძლებელია პასუხი გაეცეს მართვისთვის მეტად მნიშვნელოვან შემდეგ კითხვებს: რა გეგმები აქვს ამჟამად მმართველს? საით შეუძლია წასვლა? როგორ აპირებს ამის მიღწევას?. ამრიგად, დაგეგმვას აქვს განუწყვეტელი ხასიათი, რაც განპირობებულია ორი მიზეზით: სურვილი, გაიხანგრძლივონ არსებობა, რაც

შეიძლება დიდი ხნით, რაც აიძულებს მმართველს ხელახლა განსაზღვრონ ან შეცვალონ თავიანთი მიზანი, თუ რა თქმა უნდა მიღწეულია თავდაპირველი მიზანი. მეორე, ეს არის მომავლის მუდმივი გაურკვევლობა.

მმართველმა, რომ შეასრულოს დასახული გეგმები და ამით მიაღწიოს მიზანს ან მიზნებს, აუცილებელია განსაზღვრული მმართველობითი სტრუქტურა. ამ ფუნქციის ძირითადი ელემენტებია სამუშაო და ადამიანები, რომელთა ვალია პირნათლად შეასრულონ ეს სამუშაო. მმართველობითი სტრუქტურა საშუალებას აძლევს ადამიანებს მიაღწიონ გაცილებით მეტს, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა ცალკეული დანაყოფების მხრიდან, თანამშრომელთა იერარქიული დაქვემდებარება მათზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი საშუალება და მართვის ერთ-ერთი ინსტრუმენტია.

მაგრამ, აქ ჩნდება მნიშვნელოვანი დეტალი, რომ, როგორ კარგადაც არ უნდა იყოს შედგენილი გეგმები და მმართველობითი სტრუქტურა, ადამიანისეული ფაქტორის გარეშე არ მიიღწევა დასახული მიზანი ან მიზნები. სწორედ ხელმძღვანელები თავიანთი გეგმების მისაღწევად, მუდმივად უნდა იყვნენ მოტივირებულები, მობილიზებული ამა თუ იმ საქმის ზედმიწევნით შესასრულებლად.

მართვის სტრუქტურის ეფექტიანად მუშაობისთვის აუცილებელია მმართველის მიერ სწორი არჩევანის გაკეთება რამდენიმე ალტერნატიულ შესაძლებლობიდან, ხოლო ალტერნატივებიდან ერთ-ერთის არჩევა წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებას. გამოდის რომ გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს იმის გადაწყვეტას, თუ რა და როგორ დაიგეგმოს, როგორ აიგოს მართვის სტრუქტურა და განხორციელდეს თანამშრომელთა მოტივაცია და გეგმების შესრულების კონტროლი. ობიექტური გადაწყვეტილების მიღება კი შესაძლებელია მხოლოდ საჭირო ოდენობის ზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში. ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი წყარო კი კომუნიკაციებია.

ნებისმიერი სტრუქტურა ადამიანებს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბების სახეა, ამიტომ მისი საქმიანობის ეფექტიანობა უშუალოდ არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარებაზე. თუ მართვის სტრუქტურაში კომუნიკაციის პროცესი მუშაკებს და ქვედანაყოფებს შორის არ იქნა განხორციელებული სათანადო დონეზე, ისინი ბუნებრივია, ვერ შეძლებენ შეთანხმებას საერთო მიზანზე, რომელიც მართვის სტრუქტურის არსებობის წინაპირობაა. კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონტროლის პროცესშიც. მმართველები შექმნილი მდგომარეობის შესაფასებლად საჭირო ინფორმაციას იღებენ სწორედ, კომუნიკაციის მეშვეობით.

რაც შეეხება მმართველობით და არამმართველობით შრომას, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მმართველობითი შრომა შედგება მოკლევადიანი, ფრაგმენტული ხასიათის სამუშაოებისაგან, მაშინ როცა არამმართველობითი შრომით დაკავებული ადამიანები, დიდი ხნის განმავლობაში ასრულებენ ერთი და იმავე სამუშაო ოპერაციებს. მმართველობითი შრომა გონივრული, შემოქმედებითი, ხასიათის შრომაა, არამმართველობითი შრომა კი ძირითადად ფიზიკურ შრომის კატეგორიას განეკუთვნება.

შრომის დანაწილებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს რომ მნიშვნელოვანია და უპირატესი გააცნობიერეს ჯერ კიდევ პირველყოფილმა საზოგადოებამ, როცა დაავალეს თემის წევრთა ერთ ნაწილს ნადირობა, მეორეს - იარაღის დამზადება, მესამეს - საკვების მოპოვება და სხვა.

დღეისთვის არ არსებობს სახელმწიფო, რომელშიც ,,შრომა“ არ არის დანაწილებული ჰორიზონტალურად სპეციალიზებული მიმართულებით. სწორედ რომ, შრომის სწორად დანაწილება მმართველობითი ხასიათის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ბევრ შემთხვევაში განსაზღვრავს კიდეც სახელმწიფოს საქმიანობის ეფექტიანობას მთლიანობაში.

სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა დამოკიდებულია კონკრეტული ადამიანების კვალიფიკაციაზე, უნარ-ჩვევებზე, პიროვნულ თვისებებზე.

სახელმწიფოში მომუშავე ყოველი მუშაკი, პირველ რიგში, პიროვნებაა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით, თავისი სიხარულითა და უიმედიბით, თავისი მოთხოვნილებებით. თუ ეს ჭეშმარიტობა არ გაიცნობიერა მმართველმა, რომელიც ასევე კონკრეტული პირივნებაა, სახელმწიფოს ძალიან გაუჭირდება დასახული მიზნის ან მიზნების მიღწევა.

პიროვნების ინდივიდუალური ქცევა და მისი საქმიანობის შედეგები დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. კერძოდ, ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე, მის მოთხოვნილებებზე, მართვისთვის გამომუშავებულ ჩვევებზე, ფასეულობებზე და საერთოდ, ადამიანთა აღიარებულ ფასეულობებსა და შეხედულებებზე. ადამიანთა ქცევა ბევრად არის დამოკიდებული საეროდ აღიარებულ კულტურულ და სოციალურ ფასეულობებზე, ტრადიციებზე, ჩვევებზე. ასეთ ფასეულობებს ადამიანები ითვისებენ ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში, რელიგიურ და სხვა დაწესებულებაში. ისინი მტკიცდება მხოლოდ სოციალურ კონტაქტებში.

ამრიგად, მართვის სტრუქტურაში მოქმედი ყველა შიგა ცვლადი ფაქტორი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ერთობლიობაში ისინი განიხილება როგორც სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკური ერთობლიობა. ერთ-ერთი მათგანის შეცვლა ან უყურადღებოდ მიტოვება გარკვეული ზომით მოქმედებს მეორეზე. ამასთან ერთი რომელიმე სტრუქტურის სრულყოფამ შეიძლება არ გამოიწვიოს შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, თუ ეს ცვლილება უარყოფითად იმოქმედებს მეორე სტრუქტურაზე.

## 1.3 აღზრდის და მართვის ურთიერთმიმართებისთვის

### (რა კავშირშია აღზრდა და მართვა)

საზოგადოებაში ხშირად გვესმის ასეთი ფრაზები: ,,დღეს მშობლებს შვილის აღზრდა საშიშ გარემოში უწევთ. ქვეყნიერება საფრთხეს უქმნის, რყვნის და ღუპავს ახალგაზრდებს“.

,,ბევრი დედისთვის სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ოჯახის სარჩენად მუშაობა უწევთ და არ შეუძლიათ შვილების გვერდით ყოფნა და მათი აღზრდა იმ გადამწყვეტი წლების განმავლობაში, როდესაც ისინი პიროვნებად უნდა ჩამოყალიბდნენ“.

რა კავშირშია ეს ერთი შეხედვით უწყინარი, მაგრამ მნიშვნელოვანი და ქვეყნისთვის საბედისწეროდაც კი წარმოთქმული ფრაზები ერთმანეთთან? ის ქვეყანა არის ძლიერი, განვითარებული და მყარი, რომელიც თავის რესურსს ახალგაზრდების განათლებაში დებს და ყოველგვარ ღონეს მიმართავს იმისთვის, რომ მათ მიიღონ სრულფასოვანი განათლება. მაშინ, ჩნდება ლოგიკური კითხვა, რატომ ეშინია დედას ასეთ სახელმწიფოში შვილის აღზრდის, რატომ ფიქრობს, რომ ქვეყნიერება საფრთხეს უქმნის მათ, მეტიც რყვნის?! ალბათ, თავი და თავი სახელმწიფოა და ის მმართველი, რომელიც ოდესღაც შეიძლება იმ დედის შვილი იყოს, ვინც განიცდიდა მის აღზრდას და არ იყო მათ გვერდით, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა, პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში.

,,საზოგადოების ზრდასთან და გართულებასთან ერთად, პიროვნული და ოჯახური კავშირები განადგურებულია და შესაბამისად, მათზე დამყარებული ტრადიციული ზნე-ჩვეულებაც განადგურებულია. სოციალური ინსტიტუტები იწყებენ ადამიანებს შორის ზნეობრივი ურთიერთობის ბუნების დადგენას - ისინი წამოაყენებენ გარკვეულ მოთხოვნებს ინდივიდებთან და ჯგუფებთან მიმართებაში, ადგენენ თავიანთი მოქმედებების ჩარჩოებს და საზღვრებს, ამით ზღუდავენ მათ

თავისუფლებას და, ამავე დროს, იკავებენ და აყალიბებენ თავიანთ ცხოვრებას, სტაბილურობას და წესრიგს. საზოგადოებაში ურთიერთობები წყვეტს ვიღაცის ინდივიდუალური ნებისყოფის ან ერთიანი სამართლებრივი აქტის გადაწყვეტილებას - ეს ურთიერთობები, როგორც წესი, კოლექტიურ ხელშეკრულებებს ეყრდნობა და წარმოიშობა შეთანხმებების მთელი ჯგუფისა და კანონის დებულებებისდგან". (პედაგოგიური ეთიკა; 2019 წ. 7გვ.)

ამიტომ მმართველი უნდა იყოს გამორჩეული, პროფესიონალი, მცოდნე, ავისა და კარგის გამრჩევი, რადგან მან შეძლოს ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელშიც დედას აღარ შეეშინდება შვილის აღზრდის, შექმნას ისეთი გარემო, რომ ოჯახი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, საზოგადოება და სახელმწიფოც კი, ზრუნავდეს მათ შვილებზე, რადგან განათლებული ახალგაზრდობა ქვეყნის განვითარების საწინდარია.

აღზრდას რომ სახელმწიფოს განვითარებისვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩანს ჯერ კიდევ პლატონის ნაშრომში ,,სახელმწიფო". პლატონის იდეალურ სახელმწიფოში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოქალაქეთა სახელმწიფოებრივ აღზრდას. ამ სახელმწიფოში ბავშვები უნდა იზრდებოდნენ სახელმწიფოს მიერ გარკვეული პროგრამის მიხედვით და ამ საქმეს უნდა ხელმძღვანელობდნენ განსწავლული პირები. პლატონი მიიჩნევდა, რომ გოგონებმა და ვაჟებმა უნდა მიიღონ ერთნაირი აღზრდა.

პლატონი ცდილობს ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრება სახელმწიფოს განვითარების შესახებ, როდესაც ერთი ფორმის სახელმწიფოს მეორით ცვლიან, ამის მიზეზად პლატონი მიიჩნევს სახელმწიფოში იდეოლოგიურ უთანხმოებას, როგორიცაა მმართველთა და ქვეშევრდომთა ზნეობის დაცემა, ის გარემოება, რომ მმართველები ხდებიან ხარბნი, გაუმაძღარნი, ხელისუფლების მოყვარულნი და სხვა.

პლატონი თავის სახელმწიფოში საუბრობს მმართველთა პატივისცემაზეც - ,,მმართველთა პატივისცემით, მეომართა მიერ მიწათმოქმედების, ხელოსნობისა თუ

აღებ-მიცემობის მიმართ გამოვლენილი ზიზღით, საერთო პურობით, გიმნასტიკური ვარჯიშებითა თუ სამხედრო ასპარეზობებით და სხვა მისთანათა მხრივ წინა წყობილების მსგავსი იქნება, არა? - დიახ. მეორეს მხრივ კი, შიში იმისა, რომ მმართველებად განაწესო ბრძენკაცნი, რადგანაც უკვე აღარ იქნებიან წრფელნი და ალალმართალნი, არამედ ბუნებაზიარნი, კეთილგანწყობა ფიცხთა შედარებით მარტივი სულების მიმართ, რომლებიც უფრო ომისთვის არიან დაბადებულნი, ვიდრე მშვიდობისთვის; პატივისცემა საომარი ხერხებისა და ხრიკების მიმართ, რადგანაც ეს სახელმწიფო ყოველთვის იარაღასხმული იქნება, აი, მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები“. (სახელმწიფო, 2003წ, 292გვ).

აღზრდისათვის საჭიროა როგორც შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, საფუძველი, ასევე სანიტარული და ჰიგიენური პირობები, ყოველივე ამას სჭირდება მეცნიერულ საფუძველზე ორგანიზება, მართვა და ხელმძღვანელობა. როცა ასე ხელოვნურად შექმნილი შიგა სტრუქტურა ერთ მთლიან ორგანიზმად, ერთ თეორიად იქნება წარმოდგენილი მაშინ ვიტყვით, რომ ეს მმართველი შეძლებს სახელმწიფოს მართვას და იმ პრობლემების გამკვლავებას რომელიც წინ დახვდება თანამდებობის ჩაბარებისას.

ფსიქოლოგია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტრურაა ქვეყნის მმართველთათვის. გერმანელებს აქვთ ასეთი ფრაზეოლოგიური გამოთქმა: ,, ვერ იქნები მასწავლებელი, თუ არა ხარ ფსიქოლოგიო“ ეს გამოთქმა, რომ სახელმწიფოს მმართველთან შევადაროთ გამოდის რომ სახელმწიფო მმართველი უნდა იყოს კარგი ფსიქოლოგი, რათა შეძლოს მნიშვნელოვანი შემეცნებითი თუ მმართველობითი ფუნქციის განხორციელება. როგორიცაა: აზროვნება, მეტყველება, ყურადღება, ნიჭიერება, ნებისყოფა, ტემპერ ამენტი, ხასიათი, მეხსიერება და ა.შ.

მმართველი უნდა იყენებდეს ფილოსოფიურ კატეგორიებსაც, ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, მიზეზ-შედეგობრიობის, შემთხვევითობისა და აუცილებლობას. არ არსებობს ფორმა შინაარსის გარეშე და, პირიქით, შინაარსი

ფორმის გარეშე. მაგ:სახელმწიფოს მართვის პროცესში ორგანიზაციული ფორმაა ხალხთან შეხვედრა, ხოლო შინაარსია ის, რაც ამ შეხვედრისას ხდება.

მიზეზ-შედეგობრიობის კატეგორიის გაცნობიერება და სახელმწიფო მმართვაში გადმოტანა ემსახურება ბევრი მართვის პრობლემის ახსნა-გაგებას, მის პრევენციასა და კორექციას. სამყაროში არაფერი ხდება უმიზეზოდ. ყოველ მიზეზს შედეგი მოსდევს და, პირიქით, ყოველ შედეგს თავისი მიზეზი აქვს. მაგალითად, ცნობილი ბიბლიური ანდაზა: ,,რასაც დასთეს, იმას მოიმკი“ მიზეზ-შედეგობრიობის ნათელი ნიმუშია. აქედან გამომდინარე, ზნეობრივი აღზრდა ადამიანს აწმყოშიც და მომავალშიც იცავს საფრთხეებისგან, ამორალური ქცევებისგან.

ამრიგად, აღზრდას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მმართველთათვის ერთგვარი აქსიომაა. მაგრამ ვინ ღზრდის მას, ვინ აძლევს შესაბამის განათლებას და ვინ ამზადებს ამ პოზიციისთვის. ვინ თუ არა მასწავლებელი. მასწავლებელია ის ოფიციალური პირი, რომელსაც აქვს მიღებული სპეციალური პედაგოგიური განათლება, დაუფლებულია სწავლებისა და აღზრდის თეორიას და კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას გადასცემს ახალ თაობას მისი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების მიზნით. სწორედ მასწავლებელს აკისრია უდიდესი საზოგადოებრივი როლი, მან უნდა უზრუნველჰყოს ღირსეული ახალი თაობის მომზადება, რომელიც განაპირობებს საზოგადოების კულრუტულ დონეს, მის განვითარებასა და შეუფერხებელ აღმასვლას. პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე ქვეყნის კულტურულ აღმავლობას მასწავლებელს უკავშირებდა. ამიტომაც, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ გამოჩენილი ზრუნვა და გამოხატული ყურადღება მასწავლებელს ავალებდა და შინაგანად განაწყობდა კეთილსინდისიერად მოჰკიდებოდა მასზე მინდობილ საქმეს და წარმატებით აღესრულებია თავისი პროფესიული და მოქალაქეობრივი მოვალეობა.

## თავი 2

## განათლების რამდენიმე ფუნქციური ასპექტი

,,ქვეყნის მყოფადი დამოკიდებულია იმ მდგომარეობაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“ ილია ჭავჭავაძე

### 2.1 რა არის განათლება

(განათლების შინაარსის რაობა და განათლების სისტემის პრინციპები საქართველოში)

განათლების შინაარსი განსაზღვრულია ცხოვრების მოთხოვნებით. ოჯახი და სკოლა უნდა ამზადებდეს მომავალ თაობას ცხოვრებისთვის. ყოველი ახალი თაობა ცხოვრებას ახალი, ფერადი და მრავალფეროვანი შინაარსით ავსებს და ლაზათიანს ხდის მას.

განათლების შინაარსი არის ცოდნა - ჩვევათა ის ჯამი, რომელსაც ადამიანი სწავლის პროცესში ეუფლება, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა როგორც გონებრივ, ისე ფიზიკურ განვითარებას. ხელს შეუწყობს მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირებას და შესაბამისი ქცევის წესების ფორმირებას. ეს ყველაფერი კი ქმნის სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების ერთობლიობას.

დ. ლორთქიფანიძე განათლების შინაარსს უწოდებს გონებრივი განათლების შინაარსს, მას აიგივებს სწავლების შინაარსთან და ასე განმარტავს: ,,განათლებაში იგულისხმება ცოდნა-ჩვევათა ის ჯამი, რომელსაც ადამიანი სწავლის პროცესში ეუფლება. გამოდის რომ განათლება ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის ძირითადი მნიშვნელობის კომპონენტია”.

განათლების დანიშნულებაა ახალი თაობის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ამერიკელი განათლების მკვლევარის დევიდ პერკინსის აზრით, სკოლებისა და განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს მიღებული ცოდნის შენარჩუნება, მისი კარგად გაგება, გააზრება და შემდგომ ცოდნის რეალიზება, აქტიურად გამოყენება.

განათლება არ ნიშნავს მხოლოდ ფაქტების სწავლებას. მთავარია, მოსწავლემ, შემდგომ კი პიროვნებამ, შეძლოს იმ უნარების და ცოდნის დაუფლება, რომლის გამოყენებასაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში, პრაქტიკაში შეძლებენ. პროფესიული განათლების მოძრაობის ფუძემდებელი და განათლების ფილოსოფიის ავტორი დიუი მიიჩნევს, რომ: ,,სწავლება ეფექტურია თუ ძირითადი ყურადღება ექცევა პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას და არა მასალის, ფაქტების დამახსოვრებას". დიუის განათლების ფილოსოფია ცოდნის პრაქტიკულობაზე იყო ორიენტირებული.

პროგრესულმა განათლებამ XX ს-ის 20-იან წლებში საკმაო აღიარება მოიპოვა და მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის განათლების ძირითად იდეოლოგიად იქცა.

განათლების შინაარსის დადგენა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული:

**მეცნიერების განვითარების დონე:** სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ის მასალა შეიძლება იყოს ჩაშვებული, რაც უკვე მოუპოვებია მეცნიერებას. ამიტომ თანამედროვე სკოლაში ბევრი რამ ისწავლება ისეთი, რაც არ შეიძლება ყოფილიყო წინა საუკუნის სკოლის სწავლების შინაარსში.

**განათლების შინაარსის ჩამოყალიბება-** გარკვეულ გავლენას ახდენს პოლიტიკური გეზი. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ვერც ერთი ხელისუფალი ვერ ითმენს და მეტიც, ვერ იტანს რეჟიმის მიმართ დამაეჭვებელი ინფორმაციის მიწოდებას მოზარდი თაობისთვის.

საქართველოს განათლების სისტემა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

**მშობლიურ ენაზე სწავლება** - საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს განათლება მიიღოს თავის მშობლიურ ენაზე. თუმცა მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ჩვენს ქვეყანაში ქართული სკოლების გარდა, არის რუსული, სომხური, ბერძნული სკოლები, რაც საშუალებას აძლევს აღნიშნული ეროვნების წარმომადგენლებს მიიღონ განათლება თავიანთ ენაზე.

**სასწავლო - სააღმზრდელო დაწესებულების ერთიანობა** - ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, განათლების სიტემაში შემავალი სასწავლო - სააღმზრდელო დაწესებულების დაბალი საფეხურიდან შეიძლება მომდევნო საფეხურზე უპრობლემოდ გადასვლა. რაც მთავარია, ამ საქმეში არავითარი პრივილეგიები და შეზღუდვები არ არსებობს.

**საყოველთაო - სავალდებულო სწავლება** - ამ პრინციპის განხორციელება დაიწყო საბჭოთა წყობილების პერიოდში. კერძოდ, 1930 წელს შემოიღეს საყოველთაო- სავალდებულო დაწყებითი განათლება ოთხი კლასის ფარგლებში, მომდევნო წლებში კლასების რაოდენობა გაზარდეს. თუმცა მეცნიერული კვლევებით დადგენილია, რომ ყველა ადამიანს არ შეუძლია, არ აქვს საჭირო მონაცემები, რათა შეძლოს საშუალო განათლების პროგრამის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლება.

ამჟამად, ჩვენში სავალდებულოა არასრული საბაზო განათლება - 9 კლასი.

**სწავლა - განათლების მეცნიერული ხასიათი:** ცოდნა, რომელსაც პიროვნება იძენს, უნდა იყოს თანამედროვე მეცნიერების ბოლო სიტყვა. და არა გაჯერებული ვარაუდებით, ჰიპოთეზებით, დაუსაბუთებელი მოსაზრებებით.

**საერო და სასულიერო განათლების გაერთიანება:** უკანასკნელ ხანებში, როცა ჩვენი ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას, ჩვენში რა თქმა უნდა შეიცვალა დამოკიდებულება ეკლესიასთან, სარწმუნოებასთან. საერო და სასულიერო

განათლების შერწყმა ხელს შეუწყობს მრავალმხრივად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას.

**სახელმწიფო და კერძო სკოლების შეთავსება:** დამოუკიდებელ საქართველოში, სახელმწიფო სასწავლებლების გვერდით, ჩამოყალიბებულია კერძო სასწავლებლების ფართო ქსელი, რაც შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ ადამიანს მიიღოს განათლება იქ, სადაც მას სურს.

განათლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას და მნიშვნელოვან ასპექტს ქვეყნის ზრდა-განვითარებისთვის. შესაბამისად, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და ზოგადად მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და დეკლარირებულია, როგორც ქვეყნის გაძლიერებისა და განვითარების ქვაკუთხედი.

ბოლო წლებში განათლების სისტემის რეფორმირებაში ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ქვეყანამ გაატარა რიგი რეფორმები, რომელიც მიმართული იყო პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის შეცვლისა და ახალი საინტერესო, სასარგებლო სისტემის შექმნისაკენ.

თუმცა, სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების და გადამზადების სერვისის ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. ხშირია შემთხვევები როდესაც ბევრი საინტერესო პროექტი რჩება უყურადღებოდ, რადგან ვერ მოხერხდა საზოგადოებასთან ხელმისაწვდომობა და მაქსიამლურად ათვისება.

## 2.2 განათლების აუცილებლობა აღზრდის საქმეში

გამოყოფენ სწავლების ოთხ მთავარ ფუნქციას, რომელიც საერთოა ნებისმიერი სასწავლო საგნის გაკვეთილისთვის. ესენია: საგანმანათლებლო, განმავითარებელი, აღმზრდელობითი და შრომითი.

სწავლების საგანმანათლებლო ფუნქციაში მოიაზრებენ ინფორმაციების მიღებას სამყაროს შესახებ. იმ განათლების შინაარსის ათვისებას, რომელიც ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, პროგრამებში, პროექტებში, ძირითად და დამხმარე სახელმძღვანელოებსა და სხვა ცოდნის წყაროებში. რაც შეეხება განათლების შინაარსს, იგი მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ცნებები, ცნობები, ფაქტები, მოვლენები, წესები, კანონები, პრინციპები, მეთოდები, დებულებები, ფორმულები, თარიღები, სახელწოდებები და სხვა.

სწავლების განმავითარებელ ფუნქციაში მოიაზრებენ ისეთ ფსიქოლოგიურ პროცესებს, როგორიცაა: შეგრძნებები, წარმოსახვები, მეტყველება, ნებისყოფა, მეხსიერება და სხვა. ყოველივე ეს ემსახურება ისეთ სააზროვნო და საფიქრებელ ოპერაციების განვითარებას, როგორიცაა: შედარება, კლასიფიკაცია, ანალიზი, სისტემატიზაცია, შეფასება, დასკვნა და სხვ.

სწავლების აღმზრდელობით ფუნქციაში მოიაზრებენ გონებრივ (იდეების, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოზიციის), ზნეობრივ (ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, პატიოსნება, სამართლიანობა, სიკეთე), სულიერ (ღვთის რწმენა, ბიბლიური კანონებისა და ადათების ცოდნა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება), შრომითი (შრომისმოყვარეობა, სხვისი შრომის დაფასება, შრომის პროდუქტებისადმი ყურადღების მიქცევა და მოფრთხილება), ეკილოგიური (ბუნებრივი გარემოსა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ცოდნა, გარემოს სიყვარული, დაცვა, მოფრთხილება, ზრუნვა, მოვლა), ესთეტიკური (სილამაზე, მშვენიერება, სილამაზის აღქმა, სილამაზის კანონებით ცხოვრება), ფიზიკური (ჯანმრთელობის, თავდაცვისა და შრომისუნარიანობი) აღზრდას.

სწავლების შრომით ფუნქციაში მოიაზრებენ სწავლების ზემოთხსენებული ფუნქციების რესტაბელურობასაც. რამეთუ, როგორც დემოკრიტემ თქვა: ,,სწავლება ახდენს სასწაულებს მხოლოდ შრომის საფუძველზე“, ამიტომ, სწავლების შრომით ფუნქციაში შედის შრომისმოყვარეობის, ფიზიკური და გონებრივი შრომითი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

აღზრდის მიზნის პრობლემა უხსოვარი დროიდან იდგა ადამიანთა ყურადღების ცენტრში. საზოგადოებაში აღზრდის წარმოშობისთანავე დღის წესრიგში დაისვა საკითხი: რა არის აღზრდა? რას ემსახურება იგი? რა არის აღზრდის მიზანი? რად უნდა იქცეს ადამიანი, რომელსაც აღზრდა ემსახურება? ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლობა მიგვიყვანდა იქამდე, რომ აღზრდა დაემსგავსებოდა უკომპასო ხომალდს ან კიდევ ბრმას, რომელიც ხელების ქნევითა და ცეცებით მიიკვლევს გზას.

აღზრდის მიზანს ცალკეული პიროვნებები კი არ განსაზღვრავენ, არ არის დამოკიდებული ადამიანის ნება-სურვილზე, არამედ აღზრდის მიზანს და ამოცანებს საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ის საზოგადოება, რომელშიც იგი მიმდინარეობს. მას აპირობებს საზოგადოებრივი ყოფიერება, საზოგადოებრივი წყობა და ემორჩილება მისი განვითარების როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ კანონზომიერებებს.

სწავლა და აღზრდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი, განუყოფელი პროცესებია. უშედეგო, უნაყოფო და არაფრისმომცემია ისეთი სწავლება, რომელიც პიროვნებას არ ზრდის, არ უნერგავს ჭეშმარიტი ადამიანის თვისებებს და არ კაზმავს ახალგაზრდობას ცოდნითა და უნარ-ჩვევებით.

მოზარდი თაობის აღზრდას, სწავლებასა და განათლებას სხვადასხვა სახელმწიფო სხვადასხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულების მეშვეობით ადგენს და ახორციელებს. ამ დაწესებულების ერთიანობას კი წარმოადგენს განათლების სისტემა.

განათლების სისტემა განისაზღვრება ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური ვითარებით, ისტორიული წარსულით, ტრადიციით, კულტურის განვითარების დონით. ეს ყველაფერი კი მიუთითებს იმაზე, რომ როგორიცაა სახელმწიფო, ისეთივეა მისი განათლების სისტემა.

აღზრდის საქმეში განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან განათლება განსაზღვრავს პირველ რიგში პიროვნების განვითარებას, მის ადაპტირებას საზოგადოებაში, მეორე რიგში კი საწინდარია ქვეყნის კეთილდღეობისა. ის ქვეყანა არის ძლიერი, განვითარებული და რეალიზებული, სადაც აღზრდისა და განათლების საკითხი პრიორიტეტულია. ყველა რესურსს იყენებს იმისათვის, რომ მეტი და მეტი განათლებული საზოგადოება ჰყავდეს.

რაც შეეხება განათლების ხარისხს - განათლების ხარისხის გაუმჯობესების კომპლექსური და სისტემური საჭიროებიდან გამომდინარე დღის წესრიგში კვლავ დგას პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების და სასწავლო პროცესის მოდერნიზების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია მრავალი მარეგულირებელი დოკუმენტი და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები პერმანენტულად მიმდინარეობს, მასწავლებელთა უმრავლესობის კომპეტენციები დაბალია. მასწავლებელთა დიდი ნაწილი საინფორმაციო ტექნოლოგიებს მხოლოდ მარტივი კომუნიკაციისთვის იყენებს და გაკვეთილებს ტრადიციული მეთოდებით ატარებს. ბუნებრივია ეს ყველაფერი აისახება მომავალი თაობის აღზრდასა და განათლების ხარისხზე.

## 2.3 განათლების აუცილებლობა მართვაში

განათლების დანიშნულებაა ახალი თაობის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ამერიკელი განათლების მკვლევარის დევიდ პერკინსის აზრით, სკოლებისა და ზოგადად, განათლების სისტემის მთავარი მიზანი უნდა იყოს სკოლაში, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის შენარჩუნება, მისი კარგად გაგება-გააზრება და შემდგომში ცოდნის აქტიური გამოყენება. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა პრაქტიკული მოქმედების თეორიულ საფუძველს, რეალური სინამდვილის ანარეკლს წარმოადგენს.

რიგ შემთხვევაში სკოლაში ასწავლიან ყველაფერს, საჭირო და სასარგებლოს (გრავიტაცია, ნიუტონის კანონები, პითაგორას თეორემა, ნივთიერების შემადგენლობა და სხვ), მაგრამ არ ვასწავლით ყველაზე მნიშვნელოვანს, აუცილებელს და მთავარს, არ ვამზადებთ ცხოვრებისათვის. ბუნებრივია, შეუძლებელია ცხოვრების ყოვლისმომცველი საგანი ისწავლებოდეს სკოლაში, მაგრამ ყველა სასწავლო საგანი, რომელსაც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმა სასკოლო განათლებისათვის, ახალგაზრდობის ცხოვრებისათვის მოსამზადებლად უნდა იყოს მიმართული.

განათლების შინაარსის სწორად შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სკოლაში, შემდგომ კი უნივერსიტეტში, მიღებული ცოდნით ახალგაზრდები გამოდიან საზოგადოებრივ ასპარეზზე. აქ კი მათი მიღებული ცოდნა განსაზღვრავს განათლებისა და კულტურის დონეს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის მზადყოფნის ხარისხს.

განათლების ცნება მიანიშნებს გონებრივ სინათლეზე, აზროვნების ასამოქმედებელ ცოდნა-გამოცდილების გარკვეულ მარაგზე. განათლება სწავლების შედეგია. შინაარსის, დონისა და მიმართულების მიხედვით, გამოყოფენ განათლების სამ სახეს: ზოგადი ანუ საშუალო განათლება , ამ პერიოდში ისინი ეცნობიან საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ხელოვნების დარგთა ზოგად საფუძვლებს, ანუ იგებენ სამყაროს შექმნისა და მისი განვითარების ობიექტურ კანონებს. განათლების

სისტემის მეორე სახეა - საშუალო სპეციალური განათლება, რომელსაც ტექნიკუმები იძლევა, ხოლო მესამე კი უმაღლესი სასწავლებლები: უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, აკადემია, რომელიც მოწოდებულია მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები, ეს იქნება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, მწარმოებლური თუ არამწარმოებლურ სფეროებში, საჯარო სამსახურში, ქვეყნის მართვაში და სხვ.

ყოველი ადამიანი სადაც არ უნდა მუშაობდეს, რა პოზიციაზეც არ უნდა მუშაობდეს, კარგად უნდა ჰქონდეს გარკვეული თავისი საქმიანობის საბოლოო მიზანი - როგორი მმართველი უნდა იყოს, ცოდნის, განათლებისა და საქმიანობის მფლობელი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავისი საქმის პროფესიონალად ვერ იქცევა, ვერ იქნება კარგი მმართველი და უბრალო მოხელედ დარჩება.

რუსული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი უშინსკი წერდა: ,,რას იტყოდით არქიტექტორზე, რომელიც საფუძველს უყრის ახალ შენობას და ვერ გიპასუხებთ კითხვაზე, რისი აშენება სურს... იგივე უნდა ვთქვათ აღმზრდელზეც, რომელიც ვერ შეძლებს თავისი აღმზრდელობითი საქმიანობის მიზნის ნათლად და სწორად განსაზღვრას“. აქედან გამომდინარე შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ მმართველი, რომელიც მოდის სახელმწიფო სათავეში და ვერ გიპასუხებთ კითხვაზე რას გააკეთებს სამომავლოდ, როგორ იზრუნებს ხალხის კეთილდღეობისთვის, ბუნებრივია, ის ვერ შეძლებს მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვებას და რაც მთავარია თავისი ქვეყნის ზრდა-განვითარებას.

ადამიანი სოციალური, საზოგადოებრივი არსებაა. იგი ჩნდება ამ ქვეყანაზე როგორც ბიოლოგიური არსება. პიროვნებად, ანუ სოციალურ არსებად კი იქცევა მაშინ, როცა გაივლის თავისი განვითარების რთულსა და გრძელ გზას.

აკადემიკოს ი. ბაბანსკის აზრით, ,,ადამიანის განვითარება - ეს არის მისი პიროვნების ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესი გარეგანი და შინაგანი, მართვადი და უმართავი ფაქტორების გავლენით, რომელთა შორის წამყვან როლს მიზანმიმართული აღზრდა და სწავლება ასრულებს.

დიდ ჩეხ პედაგოგს, იან ამოს კომენსკის მიაჩნია, რომ ზნეობრივი ნორმების შეთვისება მჭიდროდ არის დაკავშირებული აღზრდასთან, მითუმეტეს ისეთ აღზრდასთან, რომელიც დაკავშირებულია სამომავლოდ ქვეყნის სამსახურში ყოფნასთან და საპასუხისმგებლო საქმესთან, როგორიცაა ქვეყნის მართვა. ფასდაუდებელია კომენსკის რეკომენდაციები ისეთი თვისებების გამომუშავებისთვის, რომელიც სჭირდება მმართველს, როგორიცაა მისწრაფება საქმიანობისადმი, შრომის სიყვარული, სამშობლოს სიყვარული, სიმართლე, სიფაქიზე, ზრდილობა, პატივისცემა ქვეყნისა და ხალხისადმი და სხვ.

სახელმწიფო სათავეში მოსული პირი, მუდმივად უნდა ცდილობდეს ,,განვითარებას“. განვითარება გულისხმობს ძველის დაძლევას - ყველა მისი დადებითისა და უარყოფითის გადაფასოვების და პროგრესულის შენახვით, მისი გამოყენებით ახლის შესაქმნელად.

განვითარება ახლის შეძენასაც გულისხმობს - მაგრამ, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყოველგვარი სიახლე განვითარების წინაპირობა არაა. აი, მაგალითად, ფაშიზმი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი მოვლენა იყო, მაგრამ მან საზოგადოების განვითარება ათეული წლით შეაფერხა.

განვითარება გულისხმობს ცოდნის შეძენას - მაგრამ ყოველგვარი ცოდნა განვითარების მაუწყებელი არ არის. ცოდნა მაშინ გადადის განვითარებაში, როცა ის აუმჯობესებს მთლიანობაში პიროვნების საერთო მდგომარეობას, კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის მას და აძლევს ძალას გაიაზროს საკუთარი არჩევანი, თავისი როლი სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის ეს კი ხელს უწყობს მის გონებრივ ზრდას, ამაღლებს მის ზნეობას და აძლევს მას ახლის შეძენის სტიმულს. ცოდნის გადატანა ასეთ აქტიურ მოქმედებაში ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანს ესმის თავისი საზოგადოებრივი დანიშნულება. ამის შეგნება კი მას ეძლევა მხოლოდ აღზრდის და განათლების გზით.

## თავი 3

## სახელმწიფო და მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რამდენიმე კომპონენტი

*,,რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, - პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს.“ ილია ჭავჭავაძე*

### 3.1 რა არის სახელმწიფო

რა არის სახელმწიფო და რა როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში? ეს ის საკითხია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განხილვის საგანს წარმოადგენდა. სახელმწიფოს ცნების გაგების იდეალისტური, ფუნქციონალური თუ ორგანიზაციული მიდგომების მიხედვით, ამ ცნებას განსხვავებულად განმარტავდნენ. მას მიიჩნევდნენ როგორც ინსტიტუციების ერთობლიობას, ტერიტორიულ ერთეულს, ფილოსოფიურ იდეას, ჩაგვრისა და გაერთიანების საშუალებას და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად, ,,სახელმწიფოს“ და ,,ქვეყანას“, ამ ტერმინებს ერთმანეთში აიგივებენ, თუმცა ,,ქვეყანა“ უფრო გეოგრაფიული ტერიტორიაა, ხოლო ,,სახელმწიფო“- მისი პოლიტიკური ორგანიზაციაა.

სახელმწიფოს რაობის შესახებ მსჯელობათა შედეგად ჩამოყალიბდა სახელმწიფოს წარმოშობის მრავალგვარი თეორია, რომლებიც ხშირად არა მხოლოდ მათი შემქმნელების, არამედ ეპოქის განწყობათა გამოხატულება იყო. მათ შორისაა თეოლოგიური, პატრიარქალური, საზოგადოებრივი ხელშეკრულების, ძალადობისა და ეკონომიკური თეორიები და სხვა.

თეოლოგიური თეორია - ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. ეს თეორია სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს ღვთაებრივ ნებას. მიიჩნევდნენ, რომ მეფობა ღვთითკურთხეული ან ღმერთისგან მომადლებული ჰქონდა სამეფო დინასტიას. შეიძლება ასეც ვთქვათ, რომ დინასტიას უზენაესი უფლებამოსილება ღმერთისგან ჰქონდა მინიჭებული და მონარქი ღმერთის წარმომადგენელი იყო

დედამიწაზე. სწორედ, თეოლოგიური თეორიით იყო განმტკიცებული საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის მეფობაც.

პატრიარქალური თეორია - ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ ქვეყნებში- ძველ საბერძნეთსა და რომში. მის ფუძემდებლად კი ევროპაში არისტოტელე მიიჩნევა. ამ თეორიის თანახმად, ადამიანი, როგორც კოლექტიური არსება ისწრაფვის სხვა ადამიანთან ურთიერთობისა და ოჯახის შექმნისკენ, ხოლო ოჯახის განვითარება წარმოშობს სახელმწიფოს.

ეკონომიკური თეორია- ამ თეორიის ფუძემდებლად გვევლინებიან კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. მის მიხედვით, სახელმწიფო ჩამოყალიბდა პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შედეგად, რომელმაც ,,მოითხოვა“ მმართველობის დახვეწა სახელმწიფოსა და სამართლის გაჩენის გზით და წარმოშვა სოციალური ცვლილებები საზოგადოებაში. ამ თეორიის მიხედვით სახელმწიფოს წარმოშობა მოხდა თანდათან, ეტაპობრივად. თავდაპირველად გაჩნდა შრომის დანაწილების პრინციპი, ანუ საზოგადოება გაიყო ორ ნაწილად, ერთი ნაწილი დაკავდა მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით, ხოლო მეორე ნაწილი, რომელსაც კარგად ჰქონდათ განვითარებული სავაჭრო უნარ-ჩვევები, ვაჭრობას მიჰყვეს ხელი. ამ ორმა ნაწილმა დაიწყეს კიდევ სხვათა საქმიანობის შესწავლა და გამოყენება, რათა გამხდარიყვნენ კონკურენტუნარიანი და დაეგროვებინათ უფრო მეტი სიმდიდრე. საბოლოო ჯამშიც, საზოგადოება დაიყო კლასებად - ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებლად. შემდგომ გაჩნდა კერძო საკუთრების ინსტიტუტი, მდიდარი ფენის სითავხედის შესაჩერებლად კი საჭირო გახდა ერთიანი მექანიზმის სახელმწიფოს წარმოშობა.

სახელმწიფო ეს არის საყოველთაოდ აღიარებული საზოგადოებრივი სამსახურის ინსტიტუტი. თუმცა, ზოგიერთი თეორეტიკოსი სახელმწიფოს პატივს მიაგებს და მას მიიჩნევს როგორც საზოგადოების მწვერვალს. სხვები კი მასში კეთილგანწყობილ, ამავე დროს კი საზოგადოებრივი მიზნების მიღწევისათვის ხშირად შეუსაბამო

ორგანიზაციას ხედავენ; მაგრამ თითქმის ყველა მიჩნევს, რომ ის კაცობრიობის კეთილდღეობის მისაღწევად აუცილებელი საშუალებაა. საშუალება, რომელიც მიმართულია ,,კერძო სექტორის" წინააღმდეგ და სასიცოცხლო სახსრების მოსაპოვებლად, კონკურენციაში მის დასამარცხებლად და გასანადგურებლად უნდა იყოს მიმართული.

სახელმწიფო - საზოგადოებრივ- პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც გამორჩეული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების სტრუქტურების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველჰყოფს ქვეყნის მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტს.

სახელმწიფო ფუნქციონირებს მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც თითოეული მხარე იღებს პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებებს. ხელისუფლება კი ხელშეკრულების ფარგლებიდან გამომდინარე, ასრულებს როგორც მმართველობით ფუნქციებს, ასევე ერთმანეთს უთავსებს ადამიანისა და სახელმწიფოს ინტერესებს, აკონტროლებს ერთის მხრივ საზოგადოების წევრების მიერ კანონებისა და წესების დაცვას, მეორეს მხრივ კი ეძებს უფლებებისა და მოვალეობების ოპტიმალური შეფარდების გზებს.

სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ელემენტია. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტერმინს ორი ძირითადი განმარტება აქვს: **სახელმწიფო - არის სახელმწიფო დაწესებულების ერთობლიობა** ანუ საზოგადოების მართვის აპარატი; მეორე განმარტებით კი **სახელმწიფო არის საზოგადოების პოლიტიკურ-სამართლებრივი ორგანიზაციის განსაკუთრებული სახე.** საზოგადოებაში უფრო მეტად მეორე განსაზღვრებაა მიღებული. სახელმწიფო განისაზღვრება პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და მასში

მცხოვრებ მოსახლეობაში ვრცელდება. ამ მიზნით კი იყენებს მართვის სპეციალურ აპარატს, გამოსცემს ყველასათვის სავალდებულო აქტებს და დაკავებულია როგორც შიდა, ასევე გარე პრობლემების გადაჭრით.

სახელმწიფო ხასიათდება სპეციფიკური ნიშნებით, რომლებიც მას ყველა სხვა ინსტიტუტისაგან განასხვავებს. ესენია: საჯარო ხელისუფლების გამოყოფა საზოგადოებისგან, ტერიტორიის არსებობა, სუვერენიტეტი, ფიზიკური იძულების, ძალის რეგალური გამოყენების მონოპოლია, მოსახლეობიდან გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღების მონოპოლიური უფლება, საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაცია სამართლებრივ საწყისებზე, მთელი საზოგადოების ინტერესების დაცვის პრეტენზია და ამ მიზნით საჭირო რესურსების მობილიზება. ასევე გამოყოფენ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: ერთიანი სახელმწიფო ენა, მოქალაქეობა, სახელმწიფო სიმბოლიკა, ერთიანი ფულადი სისტემა, ერთიანი საინფორმაციო სისტემა და საერთაშორისო აღიარება.

ათასწლეულების განმავლობაში სახელმწიფო იცვლება საზოგადოებასთან ერთად. საზოგადოების, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობების თვალსაზრისით გამოყოფენ სახელმწიფოს ევოლუციის ხუთ ძირითად ეტაპს:

1. ტრადიციული სახელმწიფო;
2. კონსტიტუციურ-დემოკრატიული სახელმწიფო;
3. სამართლებრივი სახელმწიფო;
4. სოციალური სახელმწიფო;
5. სახელმწიფოს მარკეტინგული მოდელი;

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული დაყოფა რამდენადმე პირობითია, რადგან სახელმწიფოს ევოლუცია არაკონსტიტუციურიდან კონსტიტუციურამდე და არასამართლებრივიდან სამართლებრივამდე მიმდინარეობს დროგამოშვებით, ზევრი დროითი ინტერვალითა და პერიოდით.

შუა საუკუნეების ევროპა ჯერ კიდევ ვერ იცნობდა თანამედროვე სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ ისეთ მნიშვნელოვან და საყურადსაღებო ელემენტებს, როგორიცაა: ხელისუფლების მონოპოლია, სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, ორგანიზებული ადმინისტრაცია და სხვ. სწორედ, ამ პერიოდში გაბატონებული ფეოდალური წეს-წყობილება ხასიათდებოდა პიროვნული დამოკიდებულებებით და არა მასობრივი, საერთაშორისო სტრუქტურების არსებობით. ამ ურთიერთობის ძირითადი სუბიექტები იყვნენ ფეოდალები და მათი ქვეშევრდომები.

რაც შეეხება თანამედროვე სახელმწიფოს - ,,თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინა ეტაპი ფეოდალური წეს-წყობილებისგან ორი ძირითადი ნიშნით გამოირჩევა. პირველი - ეს არის გარკვეული კორპორაციული, ორგანიზაციული ხასიათის საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმოქმნა, რომელთაც საკუთარი წარმომადგენლობითი ორგანო ჰქონდათ და მეორე - ეს არის ხელისუფლების ინსტიტუციონალიზაცია“ (თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, 2009წ, 32გვ).

აბსოლუტური სახელმწიფოს წარმოქმნით საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე სახელმწიფოს რამდენიმე ასპექტს, ესენია: ხელისუფლების მონოპოლიის ფაქტი და მასთან დაკავშირებული სუვერენიტეტის იდეის შემდგომი წინსვლა და განვითარება, ხელისუფლების ჩამოყალიბება, რომელმაც ცენტრალური ადმინისტრაციული შტაბის, ბიუროკრატიის შექმნა განაპირობა, რომლის საფუძველზეც თანმიმდევრულად დაიწყო დიდი სამთავრობო და ადმინისტრაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება. ეტაპობრივად ვითარდებოდა სასამართლო სისტემა, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის მართვა, თავად სახელმწიფოს ხელისუფლება თანდათან კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში ვრცელდებოდა.

ამრიგად, ტერიტორიული სახელმწიფო, ეროვნული სახელმწიფო, აბსოლიტური სახელმწიფო, სამართლებრივი სახელმწიფო, დემოკრატია და სახელმწიფო

ბიუროკრატია თანამედროვე სახელმწიფოს, როგორც სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენენ, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბდა და რიგ სახელმწიფოებში განსხვავებული აღიარება ჰპოვა. თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ელემენტები მხოლოდ ერთიანობასა და ურთიერთკავშირში იძენენ თავიანთ დანიშნულებას.

,,დემოკრატიულ სახელმწიფოში საჯარო ადმინისტრაციის უმთავრესი ამოცანა არის საზოგადოებაში საერთო სიკეთის უზრუნველყოფა. ამ ამოცანას იგი კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების შესაბამისად ახორციელებს. კონკრეტულ შინაარსს ის იმ მიზნებსა და პროგრამებში იძენს, რომლებიც სხვადასხვა სფეროში (სოციალური, გარემოს დაცვის, განათლების, კულტურის და სხვ.) გარკვეული პოლიტიკის გატარებაში იჩენს თავს. საბოლოო წარმატების საზომი არის ის, თუ რა ზემოქმედება იქონია რეფორმის პოლიტიკამ თითოეული მოქალაქის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე“. (თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, 2009წ, 108 გვ)

თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოების წინსვლა და წარმატება, მათი ეროვნული თვითგამორკვევის, თვისუფლებისთვის ბრძოლის და შეუპოვრობის შედეგია. ამ ბრძოლის მამოძრავებელი ძალა იყო გაბედული, უშიშარი, შეუპოვარი მოქალაქის მტკიცე ნება, ეცხოვრა ღირსეულ ქვეყანაში, ესარგებლა ღირსეული პირობებით და უსაფრთხო გარემოთი. სწორედ, ასეთმა მოქალაქეებმა შექმნეს სახელმწიფოს ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლიანად მოგვარების ოპტიმალურ საშუალებას უზრუნველყოფდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს წინაპირობები, ასევე, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის საწინდარი გახდა. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი სახელმწიფოსთვის უმთავრესი ამოცანა სწორედ ამ წინაპირობების უზრუნველყოფაა, ანუ სახელმწიფოს ისეთი ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურის შექმნა, სადაც თითოეული

მოქალაქის უსაფრთხოება, თავისუფლება და თანასწორობა ოპტიმალურად იქნება უზრუნველყოფილი.

### 3.2 სახელმწიფოს როლი აღზრდა-განათლების საქმეში

თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოების წარმატება მათი ეროვნული თვითგამორკვევის, თავისუფლებისთვის ბრძოლის და რაც მთავარია აღზრდა-განათლების საქმეში ჩადებული ინვესტიციის შედეგია. ამ ბრძოლის მამოძრავებელი ძალა არის  გაბედული მოქალაქის მტკიცე და შეუპოვარი ნება, იცხოვროს ღირსეულ პირობებში, უსაფრთხო გარემოში, ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს შესაფერისი განათლება. სწორედ, ასეთი მოქალაქეები ქმნიან სხელმწიფოს ისეთ სტრუქტურებს, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლიანად მოგვარების ოპტიმალურ საშუალებს უზრუნველჰყოფს.

,,დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არამარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე... უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში“... (დიმიტრი უზნაძე ,,ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები“, 1917წ)

დემოკრატიის განვითარება სახელმწიფოში აქტიური მოქალაქეების არსებობასთან პირდაპირ კავშირშია. რაც უფრო მეტი მოქალაქე მონაწილეობს დემოკრატიულ პროცესებში, რაც უფრო მეტი მოქალაქე მიისწრაფვის დაეუფლოს

განათლებას, რადგან ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს შემდგომში, ასეთი მოქალაქე ქვეყნის მართვას მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება. გამოდის, რომ სახელმწიფომ ყველაზე დიდი ინვესტიცია უნდა ჩადოს განათლებაში, რათა აღზარდოს ისეთი თაობა, რომლებიც შეძლებენ ქვეყნის კეთილდღეობისთვის ზრუნვას და მთელ თავის ცოდნას სახელმწიფოს განვითარებისთვის გამოიყენებს.

შესაბამისად, მოქალაქის ერთგვარი მორალური ვალდებულებაა, მაქსიმალურად გამოიყენოს კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული შესაძლებლობები და მიღებული ცოდნით აქტიურად შეძლოს სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მიღება.

სახელმწიფოს როლი რომ აღზრდა-განათლებაში დიდია, ეს აქსიომაა. რადგან არცერთი სახელმწიფო არ იქნება ძლიერი, დამოუკიდებელი და განვითარებული თუკი წინა პლანზე არ წამოაყენებს თავიანთი მოქალაქეების აღზრდა-განათლებას, ძალისმიერი გზით მოპოვებული გამარჯვება დიდხანს ვერ გასტანს. ,,ჭკუა" ყოველთვის სჯობნიდა და აჯობებს ძალას, მანამ სანამ კაცობრიობა იარსებებს.

სახელმწიფოს განვითარებისთვის განათლების როლი რომ დიდია და ადრეული განათლება, რომ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას ეს ცხადია. სწორედ ამიტომ ბავშვის მომავალი აკადემიური, პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის, ისე საზოგადოების განვითარებისთვის შეიქმნა ბევრი ტექნოლიოგია, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ბაღები, სკოლები, უნივერსიტეტები, სადაც შეძლებდნენ დაუფლებოდნენ სრულფასოვან განათლებას, რაც საწინდარია ძლიერი, შეუპოვარი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისთვის.

მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შეიქმნა რეჯიო ემილიას პედაგოგიკა, რომელიც მდებარეობდა იტალიის ჩრდილოეთით ამავე სახელწოდების ქალაქში. ამ ქალაქში ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტეს, რომ ომის მოწინააღმდეგე თაობები აღეზარდათ, რომლისთვისაც მთავარი იქნებოდა სახელმწიფოს ზრუნვა და

განვითარება არაძალისმიერი გზით. ამისთვის კი საჭირო იყო ახალი გზა, რომლის მნიშვნელობაც იგრძნო და დაინახა იტალიელმა ლორის მალაგუციმ. ის წლების განმავლობაში საბავშვო ბაღებში მუშაობდა და ძალიან დიდი გამოცდილებას და რაც მთავარია ცოდნას ფლობდა. საკუთარ თავს სკოლამდელი განათლების სისტემის ,,პროვოკატორს" ეძახდა, რადგან ის მუდმივად ახლის ძიებაში იყო.

,,რეჯიო ემილიას სისტემა და ლორის მალაგუცის სისტემა, დაიბადა პრაქტიკულ მუშაობაში, და არა რაიმე განსაკუთრებული პედაგოგიური კვლევიდან. ახალი პედაგოგიური გზის დასაწყისში ჩადებული იყო ,,ახალი ადამიანის აღზრდის სურვილი". რეჯიო ემილიას პედაგოგიკა ჰარმონიულად აერთიანებს ბავშვს, მის მშობლებს და გარესამყაროს. მთავარი პოსტულატია: ბავშვს აქვს განათლებისა და განვითარების უფლება, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა და სოციალური სტატუსისა. მთავარი პრინციპი კი ასეთია: აღზარდე დემოკრატიულად, სოციალური სამართლიანობის და სოლიდარობის შეგრძნებით". ( ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების სხვადასხვა ასპექტები, 2018წ, 205გვ).

მე-17 საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი კი წერდა:,,როგორი დარიგებებიც არ უნდა აძლიონ ბავშვს და ზრდილობიანობის როგორი ბრძნული გაკვეთილებიც არ უნდა გადასცენ მას ყოველდღიურად, უფრო მეტ გავლენას მის ყოფაქცევაზე მაინც მოახდენს ის წრე, რომელშიაც ის იმყოფება და იმათი ყოფაქცევა, ვინც მას უვლის". ( ნ.ნ კონსტანტინოვი და სხვები, პედაგოგიკის ისტორია, თბ, 1964, 75გვ).

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მუდმივად უნდა ამზადებდეს პედაგოგებს, მშობლებს, საზოგადოებას, რომ მეტი და მეტი გაიგოს ბავშვის აღზრდა-განათლების შესახებ, რათა შეძლონ გამოზარდონ ქვეყნისთვის მნიშვნელოვცანი და სასარგებლო პიროვნებები. მაკარენკოს დავესესხები, რომ ,,აღმზრდელმა თავისი თავი მიკროსკოპის ქვეშ უნდა დააყენოსო", ეს კი ნიშნავს, რომ მშობლებმა, მასწავლებლებმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომაც კი უნდა იზრუნოს თავიანთი

ცუდი საქციელის თვით უმნიშვნელო მხარეც კი თავიანთ წარმოდგენაში გაადიდონ, გააზვიადონ და ამით კი ნათლად შეძლებენ დაინახონ მათი საქციელის უკმარისობა. მაგრამ ისმის კითხვა - ასრულებს კი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პერსონა ჩვენი საზოგადოების უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას? ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა, ნებსით თუ უნებლიეთ არა ან ვერა... რადგან, როდესაც ბავშვები უფროსების უხეშობის, უტაქტობის და უზნეო ქმედებების მოწმენი ხდებიან, ეს ყველაფერი უმახინჯებს მოზარდს სულს, უკარგავს საზოგადოებისადმი და, საერთოდ, ადამიანებისადმი პატივისცემასა და რწმენას.

განათლება, რომ სისტემურ ქმედებათა პროცესია, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ ეს ახალი არ არის. განათლებაში, რომ აგრეთვე იგულისხმება შედეგი ჩადებული შრომისა, არც ესაა... განათლების მიღების ძირითადი გზაა სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც მჭიდრო კავშირშია აღზრდასთან. ამასთანავე, განათლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითგანათლებას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ-შრომით საქმიანობაში მონაწილეობას. და ეს ყველაფერი უშუალო კავშირშია სახელმწიფოსთან, რადგან გამათლების საერთო და სპეციალური დონე განპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის წარმოების მოთხოვნებით.

*,,სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი, მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი, სხვა ყველას მახე უგია თავისა გასაყოფელი, თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“* ( დ გურამიშვილი, 1778წ). მართლაც, განათლება უაღრესად მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო რამაა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, მთლიანობაში კი სახელმწიფოსთვის.

კაცობრიობა მუდმივად გამოთქვამდა და გამოთქვამს უკმაყოფილებას განათლებაში შექმნილი დღევანდელი მდგომარეობით და სვამს ერთი შეხედვით

მარტივ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს შეკითხვას - როგორი უნდა იყოს განათლება დღეს და როგორ უნდა ვითარდებოდეს იგი ხვალინდელი დღის მოთხოვნათა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით?! ძიების პროცესი, როგორც კაცობრიობის განვითარება, ისე ამ კითხვისა განუწყვეტელია, ამასთანავე, რეფორმისტული იდეებით გატაცებულებს უმეტეს შემთხვევაში გვავიწყდება კიდეც, არა განათლების მთავარი პერსონა, ეს იქნება ,,სუბიექტი" თუ ,,ობიექტი", არამედ პიროვნება, რომლის გამო და რომლისთვისაც საერთოდ შეიქმნა ეს სისტემა, რასაც ჰქვია - ადამიანი.

ილია ჭავჭავაძე აღზრდის მიზანს უკავშირებდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებას, ყველა დროის საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებს და მოითხოვდა ისეთი თაობის აღზრდას, რომელიც შეძლებდა ,,ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენას, ფეხზე დაყენებას და დაცვას ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისგან". ამ ამოცანის გადაჭრა კი მხოლოდ ახალგაზრდების მიერ ფართო მეცნიერული განათლებით ხდება. თუმცა ადამიანის ჰარმონიული განვითარებისთვის და პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის მარტო გონებრივი განვითარება არ არის საკმარისი, ამასთან ერთად საჭიროა მისი ,,ზნე-ხასიათის" გაწვრთნა. ხშირია შემთხვევა, როდესაც კაცი გონებრივად განათლებულია, მაგრამ ამავე დროს უზნეო და საზოგადოებისთვის ,,ზედმეტი ბარგი".

რა სარგებელს მოუტანს სახელმწიფოს სრულფასოვანი განათლების მიცემა ახალგაზრდებისთვის? ადამიანები შრომობენ როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად. მართლაც, კვლევებმა აჩვენა, რომ განვითარებულ ქვეყნებში, ადამიანის გონებრივი შესაძლებლობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ფიზიკურთან შედარებით ხელფასის განსაზღვრაში. ამ მიზეზით კი, ინვესტიციები, რომლებიც ამაღლებს ადამიანის ინტელექტს, სხვა სიტყვებით, განათლების დონეს, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმაა, ხოლო განათლება ადამიანური კაპიტალის შექმნაში ჩადებული ინვესტიციაა, რომელიც ფიზიკურ კაპიტალში ინვესტიციების მსგავსად, ისიც შეიძლება ძვირადღირებული იყოს.

ისმის ასეთი კითხვაც, რატომ ერევა სახელმწიფო განათლების სისტემაში? ზოგადად, განათლებიდან მიღებული სიკეთე პირადულია. განათლებული ადამიანი გამუდმებით ნაყოფიერად მუშაობს და შესაბამისად ფინანსურადაც მყარად დგას ფეხზე. თუმცა, პირადი სარგებლის გარდა განათლებას სხვა გარე ეფექტებიც ახასიათებს, როგორიცაა:

1 .განათლებული მოსახლეობა - ნიშნავს ინფორმირებულ და ჩამოყალიბებულ ამომრჩეველს, რომელმაც იცის რა უნდა საკუთარი და ქვეყნის კეთილდღეობისთვის, ეს კი უკეთესი მთავრობის არჩევას გულისხმობს;

2. განათლებული მოსახლეობა აუმჯობესებს კრიმინოგენულ სიტუაციას;

3. განათლებული საზოგადოება ხელს უწყობს ტექნოლოგიური მიღწევების გავრცელებას, ტექნოლოგიური მიღწევები კი ხელს უწყობს ნებისმიერი საქმიანობის ნაყოფიერებასა, რაც ხელფასის დონის ამაღლებაზე აისახება;

4. განათლებული საზოგადოება ქვეყნის წინსვლის, განვითარების და გამარჯვების საწინდარია;

ამრიგად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, განათლება კაცობრიობის ერთ-ერთი უმძლავრესი ინსტრუმენტია განვითარებისთვის. განათლება ხომ ის მამოძრავებელი ბერკეტია, რომელიც ადამიანს უბიძგებს იცხოვროს უკეთესად, აქტიურად და ეფექტურად გამოიყენოს ხელთარსებული რესურსები და მიიღოს უფრო გონივრული გადაწყვეტილებები. ეს კი გახლავთ სტიმული, რომ შექმნას რაიმე ინოვაციური და კრეატიული, გაამარტივოს ცხოვრება და რაც მთავარია შეიტანოს სარგებელი სახელმწიფოსთვის.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს აქვს მოტივები აქტიურად ჩაერთოს განათლების მსვლელობაში და სათანადო ბერკეტებითა და რეფორმებით შეძლოს შეასრულოს თავისი დადგენილი საგანმანათლებლო ფუნქციები, უზრუნველჰყოს მოსახლეობის

განათლების დონის ზრდა და ამით განავითაროს ქვეყნის როგორც პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური, კულტურული, ასევე ეკონომიკური მხარეც.

### 3.3 მართვა, სახელმწიფო და გადაწყვეტილების მიღება

მართვა მრავლისმთქმელი ცნებაა და ის გულისხმობს შესაბამისი პირობების შექმნას მოწესრიგებული მმართველობისა და კოლექტიური საქმიანობისთვის, და ხშირად მოიცავს როგორც კერძო და არაკომერციულ, ისე სახელმწიფო სექტორის სუბიექტებს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მთავარი ყურადღება გადააქვს ისეთ სამართავ მექანიზმებზე, რომლებიც არ ემყარებიან მხოლოდ და მხოლოდ სახელისუფლებო უფლებამოსილებასა და დირექტივებს... ეს მექანიზმები კი იმისთვის გამოიყენება, რომ ერთმანეთს დაუკავშიროს იმ მოქმედ სუბიექტთა ქსელები, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში მოღვაწეობენ, როგორიცაა: ბავშვთა დაცვა, ჯანდაცვა, როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური განვითარება, ადამიანური რესურსების მართვა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უზრუნველყოფილი პირობების შექმნა და სხვ.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებას - ადამიანებს უამრავი გადაწყვეტილების მიღება უწევთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ზოგიერთი გადაწყვეტილება კი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის ბედსაც კი წყვეტს. მაგალითად, ვისზე ვიქორწინოთ, რა პროფესიას დავეუფლოთ, როგორ გავუმკლავდეთ რთულ პრობლემებს. ზოგიერთი გადაწყვეტილება კი ნაკლებად მასშტაბურია, როგორიცაა ყოველდღიურობა, რა წიგნი წავიკითხოთ, რა ფილმს ვუყუროთ, რა შევიძინოთ და ა.შ. ზოგიერთი გადაწყვეტილება კარგად გამოკვეთილ ვარიანტებს მოიცავს, ზოგი კი საკმაოდ ბუნდოვანი არჩევანის წინაშე გვაყენებს. ზოგიერთი გადაწყვეტილების

მისაღებად საკმაო დრო და რესურსი გვაქვს, ზოგი კი დაუყონებლივ უნდა მივიღოთ და შევასრულოთ.

ისმის ასეთი კითხვა - ზემოთ ჩამოთვლილი მრავალფეროვნების მიხედვით, რამდენად შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ სისტემური ზოგადი ცნობის შექმნა? თუკი ფსიქოლოგების სტრატეგიების შემუშავებულ გეგმას დავეყრდნობით მათ შეიმუშავეს სხვადასხვა სტრატეგია, მაგრამ ამჯერად, ორ ურთიერთშემავსებელ სტრატეგიაზე გავაკეთებ აქცენტს: ერთი სტრატეგია ერთ სფეროში რთულ საკითხებთან დაკავშირებული მრავალი გადაწყვეტილების სტატიკურ ანალიზს ეყრდნობა, მეორე კი - მარტივი გადაწყვეტილების ექსპერიმენტულ მანიპულაციას. ეს მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც იმ სუბიექტებს აკვირდებიან და შეისწავლიან, ისინი, სხვადასხვა გადაწყვეტილებაში ,,განმეორებებად" იჩენენ თავს.

კარგმა მმართველმა გადაწყვეტილების მიღება უნდა განასხვავოს მსჯელობისგან. მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესია. მაგალითად, საჯარო მოხელე შეიძლება ვიღაც მაღალი თანამდებობის პიროვნებას შეხვდეს და ხანმოკლე საუბრის შემდეგ საინტერესო, ჭკვიან, დამოუკიდებელ და გულწრფელ პიროვნებად ჩათვალოს. შემდეგ კი შეიძლება გადაწყვიტოს, რომ მომავალშიც გააგრძელოს მასთან ურთიერთობა და სხვადასხვა პროექტებზე შეძლონ ერთობლივად მუშაობა.

გადაწყვეტილება მმართველობითი პროცესის შემადგენელი ნაწილია მის გარეშე ხომ არც ერთი საქმიანობა არ განხორციელდება. გამოდის, რომ გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს ალტერნატივის არჩევას. პიროვნების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, ან კიდევ ნაკლებად მნიშვნელოვანი. უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები კი მიიღება ჯეროვანი გააზრების საფუძველზე, რომლის მიღებას დღეები, თვეები, და წლებიც კი სჭირდება.

თუმცა ისეც ხდება, რომ ადამიანი ნაკლებად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს ძნელად, უმნიშვნელოვანესს კი - ყოველგვარი გააზრების გარეშე, იმპულსურად.

ზოგადად ძნელია კარგი გადაწყვეტილების მიღება. ამ პროცესში ადამიანის ქცევა არ არის ყოველთვის ლოგიკური. ზოგჯერ მასზე დიდ გავლენას ახდენს მთელი რიგი ფსიქოლოგიური მომენტები, როგორიცაა: დაგროვილი გამოცდილება, სოციალური წეს-ჩვეულებები, ინდივიდუალური თავისებურებები, პიროვნული ფასეულობები თუ სხვა.

კონკრეტული ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოქმედებს პირველ რიგში მის პირად ცხოვრებაზე, ეს კი ნაკლებად უკავშირდება სხვა ადამიანებს. მმართველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებზე დამოკიდებულია სხვა ადანმიანების ბედი, ქვეყნის ბედი. ის ირჩევს მოქმედების მიმართულებას არა მხოლოდ თავისთვის, არამედ სახელმწიფოსთვის, რომლის ბედიც აზარია. ამიტომ ის დიდი სიფრთხილით ეკიდება გადაწყვეტილების მიღების საკითხს. მისი არჩევანი ხომ დიდ გავლენას ახდენს თავის სახელმწიფოში მცხოვრები თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე.

მძიმე მორალური ტვირთია მმართველისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მმართვის უმაღლეს დონეზე. მაგალითად, თუ მმართველი შესცდა და სამსახურიდან გაათავისუფლა მნიშვნელოვანი პერსონა, ამით დაზარალდება ის სტრუქტურა, რომელშიც მუშაობდა და თვითონ მუშაკიც. მაგრამ, თუ ცუდი საჯარო მოხელისგან არ გაათავისუფლა სტრუქტურა ის შეიძლება ძალიან დაზარალდეს. ცუდი საჯარო მოხელე გარდა იმისა, რომ ვერ მუშაობს სათანადო დონეზე, უარყოფით გავლენას ახდენს დანარჩენ მოხელეებზე. აქედან გამომდინარე, მმართველმა უნდა მიიღოს მხოლოდ სათანადოდ მოფიქრებული და დასაბუთებული გადაწყვეტილებები.

მმართველისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რწმენას, რომ მართალია და სასურველი გადაწყვეტილების მიღება არ ავნებს სახელმწიფოს, საწინააღმდეგო

შემთხვევაში მმართველი კარგავს პატივისცემას, რაზეც გავლენას ახდენს მიღებული გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება დაპროგრამებული გადაწყვეტილების მიღების პროცედურის შეცვლა.

,,განსჯის უნარი აუცილებელია ადამიანისათვის, ამიტომაა, რომ მუშაკის სამუშაოზე მიღებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუშაობის გამოცდილებას. განსჯის უნარი ყოველდღიური მმართველობითი გადაწყვეტილების საფუძველია. მაგრამ მხოლოდ განსჯა (მსჯელობა) არ არის საკმარისი სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ეს განსაკუთრებით კარგად გამოვლინდება ხოლმე უნიკალურ და რთულ სიტუაციებში, აგრეთვე, სიტუაციებში, რომლებიც ახალია ორგანიზაციისათვის. თუ ახალ პირობებში მენეჯერი დაეყრდნობა მხოლოდ გამოცდილებას, მან შეიძლება მიიღოს არასწორი გადაწყვეტილება და ხელიდან გაუშვას უფრო ეფექტიანი ალტერნატივა. მენეჯერი, რომელიც მეტისმეტად ერთგულია დაგროვებული გამოცდილებისა, შეგნებით თუ შეუგნებლად ხელს უშლის ახალი შესაძლებლობების გამოყენებას, რამაც შეიძლება ორგანიზაცია კრახამდე მიიყვანოს“. ( მენეჯმენტის საფუძვლები თბ. 2008წ. გვ.66)

გამოდის, რომ როგორც მენეჯერი მუდმივად უნდა ცდილობდეს თავისი ორგანიზაციის განვითარებისთვის, რათა კრახი არ განიცადოს, ასევე მმართველიც მუდმივად უნდა ფიქრობდეს და ზრუნავდეს ქვეყნის განვითარებისთვის. ისე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ქვეყანა არ დააზიანოს, მისი გადაწყვეტილება საბედისწერო არ აღმოჩნდეს.

მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია: მმართველის პიროვნული თვისებები, რისკის დონე, გადაწყვეტილების მიღების დრო და ადგილი, ინფორმაცია, გადაწყვეტილებათა როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური შედეგები და ურთიერთდამოკიდებულება.

ყველა სამმართველო გადაწყვეტილება პირველ რიგში ემყარება მმართველის პიროვნულ თვისებებს. ზოგადად ყოველი ადამიანი ინდივიდუალურად აფასებს მოვლენებს რაც განაპირობებს მის მოქმედებას და მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს. ხშირად, პიროვნული ღირსებები გადაწყვეტილების მიღებისას გამოდის კომპრომისის როლში, რომელიც ადამიანს ეხმარება სასურველი არჩევანის შერჩევაში.

მხოლოდ პიროვნული თვისებები თუ აიძულებს ადამიანს მიაწოდოს მოსახლეობას ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია, თუნდაც ის მომავალში მისი მთავარი პრობლემა გახდეს. მმართველი როგორი ლოიალურიც არ უნდა იყოს, ის აუცილებლად გაათავისუფლებს სამსახურიდან ზარმაც მოხელეს, თუ აღიარებს მუშაკთა თანასწორუფლებიანობას.

,,გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინფორმაცია. მხოლოდ რელევანტური და ზუსტი ინფორმაციაა ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების გარანტია. ინფორმაცია ხშირად მიუწვდომელია და თანაც ძალიან ძვირია მისი მოპოვება. ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელობა ჯერ განსაზღვრავს მოსალოდნელ მოგებას საძიებელი ინფორმაციიდან და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მის შეგროვებაზე“.(მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი 2008წ. გვ.70)

სამმართველო გადაწყვეტილების მიღებას და სისრულეში მოყვანას ზოგჯერ თან ახლავს ნეგატიური შედეგები. გადაწყვეტილებათა რეალიზაციისას სავარაუდო ნეგატიური შედეგები აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მმართველის მრჩეველებმა და წავიდნენ კომპრომისზე, თუ ეს მომგებიანი იქნება ქვეყნისთვის. ამასთან ზოგიერთი ნეგატიური შედეგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული მმართველის მიერ. ასეთ ნეგატიურ შედეგებს შეიძლება მივაკუთვნოთ კანონებისა და ეთიკური ნორმების დარღვევა.

სახელმწიფოსთვის მიღებული ყველა გადაწყვეტილება დაკავშირებულია ერთმანეთთან. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მოითხოვს ათასობით ნაკლებად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას და შესრულებას.

## 3.4 გადაწყვეტილების მიმღები

## (მისი ფუნქციური როლი ზემოთ განხილული საკითხების კვალდაკვალ)

თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის თანახმად, მმართველი რგოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ეფექტიანი, რაციონალური და რაც მთავარია ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა. ეს მოდელი რომ სახელმწიფო მართვაში გადმოვიტანოთ, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპტიმიზაციისთვის სხვადასხვა რგოლის სახელმწიფო მოხელეებს შორის ინფორმაციის გაცვლა სისტემატურად და რაც მთავარია ოპერატიულად უნდა ხდებოდეს და კომპეტენციების შესაბამისად ყოველ საფეხურზე შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღებოდეს.

სახელმწიფო მართვაში ნებისმიერი პოზიცია ხომ უფლება - მოვალეობების კომპლექსს გულისხმობს, ხოლო მათი განათლება, სპეციალიზაცია და კვალიფიკაცია კომპეტენტური, მისაღები და სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობას წარმოადგენს. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს არამარტო სწორი, მნიშვნელოვანი  გადაწყვეტილების მიღებას, არამედ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებასაც. ამასთანავე, სტრატეგიული და მასშტაბური გადაწყვეტილებები არ მიიღება ყოველი რგოლისთვის რელევანტური უფლება- მოვალეობების შესაბამისად, და მხოლოდ ამის შემდეგ დაიყვანება გადაწყვეტილებები უშუალო შემსრულებლებამდე.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თანამედროვე მართვის თეორიების თანახმად, მაღალი დეცენტრალიზაციის მქონე დაწესებულებები უფრო გამჭვირვალე და დემოკრატიული სისტემებია - აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭვირვალეა და მთელ რიგ შემთხვევაში გაცილებით უფრო ეფექტიანი ვიდრე ორგანიზაციებში, რომლებშიც მაღალია ცენტრალიზაციის ხარისხი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფო მართვაში დეცენტრალიზაციის მაღალი დონე სხვადასხვა რგოლებს შორის, ძალაუფლების უკეთ დანაწილებასა და ურთიერთკონტროლისთვის. ამასთანავე, გადაწყვეტილების მიღების პროცესის არაერთპიროვნულობა უზრუნველყოფს სხვადასხვა რგოლების მეტ ჩართვას, მეტ აქტიურობას, მეტ პასუხისმგებლობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას.

თუკი გადავხედავთ უმაღლესი დონის ხელმძღვანელების დამოკიდებულებას დაქვემდებარებული ხელმძღვანელების ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს, აღმოჩნდება, რომ ცენტრალიზებულ სისტემებში უმაღლესი დონის პირები იშვიათად ამოწმებენ დაქვემდებარებული ხელმძღვანელების ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს. ასეთი შედასება ხდება მაშინ როცა შემაჯამებელი მაჩვენებლების ან კიდევ საბოლოო შედეგის მიხედვით. კონტროლის სისტემა კი უზრუნველყოფს მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომების დროულ გამოვლენას, მათზე რეაგირებას, აღმოფხვრას და პრევენციას. მართვის პროცესში ადამიანური ურთიერთობის მნიშვნელობისა და მკვლევარების აზრით, ეფექტიან კონტროლს მართვის პროცესზე ახორციელებენ არა მხოლოდ ზედა რგოლის ხელმძღვანელები, არამედ თვითონ მოხელეები.

სახელმწიფო მართვაში გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს პასუხისმგებლობის აღებას ხალხის წინაშე, ხოლო პასუხისმგებლობა მთლიანად ხელმძღვანელის პრეროგატივაა. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ შრომით აღწერილობებზე, რომლების შემუშავებულია და დადგენილი სახელმწიფო მართვაში სხვადასხვა

პოზიციისთვის, აქ კიდევ საუბარია წოდების შესაბამისი უფლება - მოვალეობების შესახებ. ამ შემთხვევაში კი რჩება ერთადერთი  მამოძრავებელი ძალა - მოვალეობა, ხოლო უფლებები ფაქტიურად მთლიანად გადაცემულია ხელმძღვანელისათვის. შესაბამისად, ეჭვქვეშ დგება თავად უფლება - მოვალეობების გამიჯვნის საკითხი, რაც შესაძლოა მივიჩნიოთ ეფექტური მუშაობის შესაფერხებლად.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების დროს ემოციურ ფაქტორს - ,,ემოციურ მდგომარეობაში ვლინდება ადამიანის ქცევის როგორც ტიპური, ისე არადამახასიათებელი თვისებები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ისეთი ემოციური მდგომარეობანი, როგორებიც არიან: ( სვანიძე ლ, ლექციები ეკონომიკურ ფსიქოლოგიაში თბ. 2009 გვ.178)

1. გუნება - განწყობილება, როდესაც შედარებით სუსტად არის გამოხატული ემოციური მდგომარეობა, იგი რამდენიმე ხნით მოიცავს მთელ პიროვნებას და ქცევაზე გავლენას ახდენს;
2. სწრაფვა არის ხანგრძლივი და ინტენსიური ემოცია, ამ დროს ადამიანს დიდ მნიშვნელობა ენიჭება. მას შეუძლია ადამიანის საქმიანობის ორგანიზება და სტიმულირება. ძლიერ სწრაფვას ხომ ადამიანი წარმატებისკენ მიჰყავს.
3. აფექტი არის მკვეთრად გამოხატული ხანმოკლე ემოცია, მღელვარება რომლის დროსაც წარმოიქმნება ძლიერი სულიერი მდგომარეობა.
4. სტრესის დროს არის დიდი შინაგანი დაძაბულობა. ის აღმოცენდება რთულ სიტუაციებში. სტრესის დროს ხშირად ხდება ზოგოერთი მოქმედების შეკავება, ასევე მოსალოდნელ გაღიზიანებებზე არაადეკვატური რეაქციები.
5. ფრუსტრაცია არის ისეთი ემოციური მდგომარეობა რომლის დროსაც აღმოცენდება მიზნის მისაღწევ გზაზე ხელისშემშლელი პირობები. ეს არის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებებით გამოწვეული უკიდურესი უკმაყოფილებების მდგომარეობა.

გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო გზას იმის განსაზღვრა წარმოადგენს, თუ რომელი არჩევანი მოგვიტანს სარგებელს ან ნაწილობრივ დანაკარგს. მაგალითად, თუ შემოგთავაზებენ ათ ან ოც ევროს, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე ავირჩევთ ოც ევროს, რადგან ეს უკეთესია. სიტუაციას ართულებს ის, რომ სარგებლის და დანაკარგის აღქმა ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმითაა არჩევანი მოცემული. ,,ფორმა“ წარმოადგენს არჩევანის დეტალურ აღწერას.

რეალურ სამყაროში გადაწყვეტილების მიღება გვიხდება, რომელიც სამომავლოდ ჩვენს საკუთარ ან სხვების მოსაზრებას, მსჯელობას ან ვარაუდს ეყრდნობა. ასეთ შემთხვევაში კი უნდა ვცადოთ, როგორც მოგების, ისე წაგების კუთხით განხილვა. როგორც ქვეყნის სასარგებლოდ, ასევე საწინააღმდეგო შემთხვევის განხილვა და პრობლემაზე ორიენტირება.

რა მოხდება თუკი გადაწყვეტილების თავის არიდებას მიმართავენ ქვეყნის მესვეურნი? რაც უფრო რთულია გადაწყვეტილების მიღება მით მეტია მისგან თავის არიდების ალბათობა. მიუხედავად ინდივიდუალური განსხვავებისა, ხშირად ადამიანთა დიდი ნაწილისთვის დამახასიათებელია გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილების საკმაოდ ძლიერი ტენდენცია, რაც განპირობებულია რამდენიმე ფსიქოლოგიური ფაქტორით: ადამიანებს არ სურთ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომლის შედეგადაც ზოგს ექნება მეტი სარგებელი, ზოგს კი ნაკლები. ადამიანებს შეუძლიათ, წინასწარ მიხვდნენ, თუ როგორ ინანებენ როცა მათ მიერ გაკეთებული არჩევანი უფრო ცუდი აღმოჩნდება, ვიდრე ის, რომელიც მათ შეეძლოთ, მაგრამ არ გააკეთეს.

ადამიანებს არ მოსწონს პასუხისმგებელნი იყვნენ იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც შეიძლება ცუდი შედეგი ჰქონდეს. ადამიანებს ისიც არ სურთ, მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სხვების ნაცვლად. აქედან გამომდინარე, რამდენადაც ადამიანებს არ უყვართ გადაწყვეტილების მიღება, ისინი უკეთ გრძნობენ თავს, თუ ამას რა თქმა უნდა სხვები გააკეთებენ.

ამრიგად, გადაწყვეტილების მიმღებმა სასურველია შეეცადოს თვითონ გადაწყვიტოს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. პირველ რიგში მან უნდა შეისწავლოს პრობლემა, დაისახოს მიზანი, იპოვოს აღნიშნული პრობლემის საბრძოლო კუთხეები, შეიმარჩუნოს სიმშვიდე, გამოიჩინოს ნებისყოფა, დაარწმუნოს საკუთარი თავი იმაში, რომ ძალიან რთული პრობლემის წინაშე დგას და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს ქვეყნისთვის, ამიტომ როგორც იტყვიან ,,ასჯერ უნდა გაზომოს და ერთხელ გაჭრას“. გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა აკონტროლოს ემოციური ფაქტორი. მართალია, ისიც ადამიანია და მთელი პასუხისმგებლობა მის მხრებზე არ უნდა გადავანაწილოთ, მაგრამ მან იცის, რომ მისი გადაწყვეტილება ქვეყანას წაადგება, დაეხმარება და მეტ სარგებელს მოუტანს. ამიტომ, გადაწყვეტილების მიმღებს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ შეუძლებელი არაფერია, გამოსავლის პოვნა ყოველთვის შეიძლება.

## თავი 4

## სოციალური კვლევა

მეოთხე თავი წარმოადგენს სოციალურ კვლევას, რომლის მიზანიცაა ჩვენ მიერ არჩეული პრობლემის მიტანა და გაცნობა საზოგადოებამდე, ასევე, მათივე აზრის გათვალისწინება. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ მათივე გამოთქმულმა აზრმა, რიგ საკითხებს ნათელი მოჰფინა და პრობლემები კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა. ჩვენი მიზანიც პრობლემათა კვალდაკვალ წყება თეორიული და პრაქტიკული საკითხების გამოკვეთა გახლავთ.

ქვემოთ წარმოდგენილია კვლევის კითხვარი. კვლევის მიზანია დადგინდეს რამდენად დიდია სახელმწიფოს როლი აღზრდა - განათლების საქმეში.

1. **სქესი**

   ა) მდედრობითი

   ბ)მამრობითი

2. **ასაკი**

   ა) 16-25

   ბ) 25-35

   გ) 35-45

   დ) 45-დან ზემოთ

3. **განათლება**

   ა) საშუალო

   ბ) უმაღლესი

4. **ხართ თუ არა დასაქმებული პროფესიით?**

   ა) დიახ

   ბ) არა

5. **როგორ გესმით ტერმინი „განათლება“?**

პასუხი:---------------------

6. **თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა უნივერსიტეტში მიღებული განათლება საჯარო სამსახურისთვის?**

ა) საკმარისია, რადგან უნივერსიტეტი სრულად აძლევს სტუდენტს განათლების მიღების შესაძლებლობას;

ბ) არ არის საკმარისი, რადგან უნივერსიტეტს არ აქვს შესაძლებლობა მისცეს სტუდენტს სრულფასოვანი განათლება;

გ) ამ კითხვაზე არ მაქვს პასუხი

7. **თქვენი აზრით, როგორია განათლების ხარისხი ბოლო წლებში?**

ა) უკეთესობისკენ შეიცვალა;

ბ) დღითი დღე უარესდება;

გ) ამ კითხვაზე არ მაქვს პასუხი

8. **თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს კარგი მმართველი?**

ა) მუდმივად უნდა ცდილობდეს ქვეყნის კეთილდღეობისთვის ზრუნვას;

ბ) უნდა ინტერესდებოდეს ქვეყნის ბედით და შეძლოს გამოიყენოს ყველა ბერკეტი ქვეყნის სასიკეთოდ;

გ) ამ კითხვაზე არ მაქვს პასუხი

9. **თქვენი აზრით, რამდენად დიდია სახელმწიფოს როლი აღზრდა- განათლების საქმეში?**

პასუხი:----------------------------

10. **ძლიერი სახელმწიფო ნიშნავს:**

ა) სახელმწიფოს, რომელსაც აქ ყველა რესურსი იზრუნოს და დაიცვას საკუთარი ქვეყნის მოქალაქე;

ბ) სახელმწიფო, რომელიც ძლიერია ეკონომიკურად;

გ) სახელმწიფო, რომელშიც მცხოვრები მოქალაქე თავს გრძნობს დაცულად და უსაფრთხოდ;

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი;

11. **რა მნიშვნელობა აქვს აღზრდას საჯარო სამსახურისთვის?**

ა) დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის განაპირობებს განვითარებული სახელმწიფოს სახეს.

ბ) არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან ჩემთვის მთავარია მათი გაკეთებული საქმე და არა აღზრდის ფორმა;

გ) ამ კითხვაზე არ მაქვს პასუხი

**12. როგორი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები?**

ა) ის უნდა იყოს კომპეტენტური, იმ საკითხის მიმართ, რომლის გადაწყვეტაც ევალება;

ბ) არ არის აუცილებელი იყოს კომპეტენტური, აუცილებელია მის მიერ გადაწყვეტილი საკითხის სარგებლიანობა;

გ) ამ კითხვაზე არ მაქვს პასუხი;

**13. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია განათლების აუცილებლობა მართვაში?**

ა) მნიშვნელოვანია, რადგან მისი განათლება განაპირობებს ქვეყნის სიძლიერეს;

ბ) არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ხშირად უწევთ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც განათლების მნიშვნელობას დიდად არ საჭიროებს;

გ) არამც თუ მნიშვნელოვანი, აუცილებელია, რადგან ის სახელმწიფო არის ძლიერი, რომლის სათავეშიც განათლებული მესვეურები არიან.

**14. და ბოლოს, როგორ სახელმწიფოში ისურვებდით ცხოვრებას?**

პასუხი:------------------

სოციალური ქსელების საშუალებით 10 დღის კვლევაში მონაწილეობა მიიღო 192-მა რესპოდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს თავიანთი აზრი.

1.სქესი
192 პასუხი




2. ასაკი
192 პასუხი



3. განათლება

192 პასუხი




4. ხართ თუ არა დასაქმებული პროფესიით?

192 პასუხი



6. თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა უნივერსიტეტში მიღებული განათლება საჯარო სამსახურისთვის?
192 პასუხი




7. თქვენი აზრით, როგორია განათლების ხარისხი ბოლო წლებში?
192 პასუხი



8. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს კარგი მმართველი?
192 პასუხი




10. ძლიერი სახელმწიფო ნიშნავს:
192 პასუხი



11. რა მნიშვნელობა აქვს აღზრდას საჯარო სამსახურისთვის?
192 პასუხი




12. როგორი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები?
192 პასუხი



13. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია განათლების აუცილებლობა მართვაში?
192 პასუხი




**გამოკითხულთა მოსაზრებები კი იხილეთ დანართში.**

წარმოგიდგენთ სოციალური კვლევის ანალიზს :

გამოკითხვაში ძირითადად მდედრობითი სქესი აქტიურობდა, ხოლო ასაკობრივ ზღვარში აქტიურობით 25-დან 35 წლამდე საზოგადოება გამოირჩეოდა. აქედან 67,2 % უმაღლესი განათლებით, საშუალო კი 32,8%. გამოკითხულთა 50,5% არ არის დასაქმებული პროფესიით, 49,5% კი დასაქმებულია. იმის დასადგენდად, საკმარისია თუ არა უნივერსიტეტში მიღებული განათლება საჯარო სამსახურისთვის გამოკითხულთა 49% მიიჩნევს, რომ საკმარისია, რადგან უნივერსიტეტი სრულად აძლევს სტუდენტს განათლების მიღების შესაძლებლობას, 43,2% მიიჩნევს, რომ არ არის საკმარისი, რადგან უნივერსიტეტს არ აქვს შესაძლებლობა მისცეს სტუდენტს სრულფასოვანი განათლება, ხოლო 7,8 % ამ კითხვაზე არ აქვს პასუხი.

იქედან გამომდინარე, რომ გამოკითხულთა მეტი ნაწილი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი სრულად აძლევს საზოგადოებას განათლების მიღების შესაძლებლობას, შემდეგი კითხვაც ლოგიკური იყო. კითხვაზე, როგორია

განათლების ხარისხი ბოლო წლებში, გამოკითხულთა 46,4 % მიიჩნევს, რომ დღითი დღე უარესდება, 36,5 % მიიჩნევს, რომ უკეთესობისკენ შეიცვალა, ხოლო 17,2 % ამ კითხვაზე კი საერთოდ არ აქვს პასუხი. მოულოდნელი იყო გამოკითხულთა პასუხი ამ კითხვაზე, თუკი უნივერსიტეტი სრულად აძლევს სრულფასოვან განათლებას სტუდენტს, მაშინ რატომ მიიჩნევენ, რომ განათლების ხარისხი მაინც დღითი დღე უარესდება.

რადგან განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევს უნივერსიტეტი და საკუთრივ უნივერსიტეტი სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია, ჩვენი მომდევნო საკვლევი კითხვაც ამას შეეხებოდა, გვაინტერესებდა, საზოგადოებისთვის რას ნიშნავდა ძლიერი სახელმწიფო. ჩვენი ვარაუდიც გამართლდა, საზოგადოების უმეტეს ნაწილს 46,4% ძლიერი სახელმწიფო წარმოუდგენია მაშინ, როცა სახელმწიფოს აქვს ყველა რესურსი იზრუნოს და დაიცვას საკუთარი ქვეყნის მოქალაქე. სახელმწიფო, რომელიც ძლიერია ეკონომიკურად. სახელმწიფო, რომელშიც მცხოვრები მოქალაქე თავს გრძნობს დაცულად და უსაფრთხოდ. მაგრამ აქაც აზრი გაიყო და 30,2 % მიაჩნია, რომ სახელმწიფო მაშინ არის ძლიერი, როცა აქვს ყველა რესურსი იზრუნოს და დაიცვას საკუთარი ქვეყნის მოქალაქე. ხოლო 18,8 % თვლის, რომ სახელმწიფო მაშინ არის ძლიერი, რომელშიც მცხოვრები მოქალაქე თავს გრძნობს დაცულად და უსაფრთხოდ.

ისმის კითხვა, როგორი უნდა იყოს კარგი მმართველი, რომ ძლიერი სახელმწიფო შექმნას? და ეს ლოგიკური შეკითხვაც დავუსვით საზოგადოებას, საზოგადოების პასუხიც ლოგიკური იყო. 69,3% მიიჩნევს, რომ კარგი მმართველი უნდა ინტერესდებოდეს ქვეყნის ბედით და შეძლოს გამოიყენოს ყველა ბერკეტი ქვეყნის სასიკეთოდ. 28,1% თვლის, რომ მუდმივად უნდა ცდილობდეს ქვეყნის კეთილდღეობისთვის ზრუნვას, ხოლო გამოკითხულთა 2,6 % ამ კითხვაზე არ აქვს პასუხი.

საზოგადოების მხრიდან კარგი მმართველის თვისებების გამოვლენის შემდეგ გვაინტერესებდა როგორი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები, რადგან მას აბარია ქვეყნის ბედი და ხშირ შემთხვევაში მის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. გამოკითხულთა უმრავლესობა 67,2% მიიჩნევს, რომ უნდა იყოს კომპეტენტური იმ საკითხის მიმართ, რომლის გადაწყვეტილებაც ევალება. 26,6% თვლის, რომ სულაც არ არის აუცილებელი იყოს კომპეტენტური, მათთვის აუცილებელია მის მიერ გადაწყვეტილი საკითხის სარგებლიანობა, ხოლო 6,2% ამ კითხვაზე არ აქვს პასუხი.

კარგი მმართველისა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საზოგადოებას დავუსვით ასეთი შეკითხვა: რამდენად მნიშვნელოვანია განათლების აუცილებლობა მართვაში? აქ პროცენტული მაჩვენებელი თითქმის თანაბარია, გამოკითხულთა 41,7% მიიჩნევს, რომ არამც თუ მნიშვნელოვანი, აუცილებელია, რადგან ის სახელმწიფო არის ძლიერი, რომლის სათავეშიც განათლებული მესვეურები არიან. 32,8% მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, რადგან მისი განათლება განაპირობებს ქვეყნის სიძლიერეს, ხოლო 25,5% თვლის რომ არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ხშირად უწევთ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც განათლების მიღებას დიდად არ საჭიროებს.

რადგან საზოგადოება არის ის მთავარი ნაწილი, რომლითაც სულდგმულობს სახელმწიფო და რომელთა აზრიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო მესვეურთათვის, შემდეგი საკვლევი შეკითხვაც ასეთი იყო: თუ რა მნიშვნელობა აქვს აღზრდას საჯარო სამსახურისთვის. გამოკითხულთა დიდი ნაწილი 75,5% თვლის, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის განაპირობებს განვითარებული სახელმწიფოს სახეს. 19,3% მიიჩნევს, რომ არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან მათთვის მთავარია მათი გაკეთებული საქმე და არა აღზრდის ფორმა, ხოლო 5,2% თვლის, რომ ამ კითხვაზე არ აქვს პასუხი.

ჩვენ გვაინტერესებდა საზოგადოებრივი აზრი, თუ როგორ ესმით ტერმინი ,,განათლება“. აღმოჩნდა, რომ საზოგადოების აზრი ამ ტერმინთან დაკავშირებით განსხვავებულია, ვიღაცისთვის განათლება ,,არის უდიდესი განძი ყველაზე ძლიერი იარაღი ადამიანის ცხოვრებაში, დაუშრეტელი წყაროა, ადამიანის გაკეთილშობილების სიმბოლოა“, ვიღაცისთვის ,,პიროვნების ინტელექტუალური, მორალური უნარ - ჩვევების განვითარება, ვიღაცისთვის კი ,, განათლება არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს დასახული ქმედების, უნარების განვითარებას“, ვიღაცისთვის კი განათლება არის - ,,მისთვის საჭირო დროს საჭირო სიტყვის თქმა და ადგილზე ყოფნა“.

აგრეთვე, გვაინტერესებდა თუ როგორ ფიქრობს საზოგადოება, რამდენად დიდია სახელმწიფოს როლი აღზრდა - განათლების საქმეში, უმრავლესობა მიიჩნევს ამ კუთხით სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია, რადგან ,, სახელმწიფოს უნდა შეეძლოს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველას შეეძლება სრულფასოვანი განათლების მიღება“, ,,სახელმწიფო უნდა ცდილობდეს ახალი ინოვაციური და სწორი მეთოდების დანერგვას აღნიშნულ დარგში“, ვიღაც კი მიიჩნევს, რომ ,,სახელმწიფოს აქვს ის ბერკეტი, რითაც შეუძლია განათლების სფერო წინ წამოსწიოს და ხელი შეუწყოს ამით ქვეყნის განვითარებას“.

და ბოლოს, კვლევა რომ საინტერესო გამოსულიყო ჩვენს რესპოდენტებს ასეთი შეკითხვა დავუსვით: როგორ სახელმწიფოში ისურვებდნენ ცხოვრებას? თითოეულის პასუხი, საინტერესო, აქტუალური, გულწრფელი და საყურადღებოა. მათ სურთ იცხოვრონ სახელმწიფოში, სადაც ,,არის სათანადო რესურსები თითოეული მოქალაქის აღზრდა - განათლებისთვის, უსაფრთხოებისთვის და კეთილდღეობისთვის“. სახელმწიფოში, სადაც ,,საზოგადოებას მიეცემა საკუთარი აზრის დაფიქსირება ყოველგვარი ზეწოლის გარეშე“, სახელმწიფოში, სადაც ,,ხალხი მნიშვნელოვანი იქნება. სახელმწიფოს სათავეში მყოფნი მხოლოდ საკუთარ თავზე არ იფიქრებენ და ყველა რესურსი რაც არსებობს გამოყენებული იქნება

საჭიროებისამებრ“, სახელმწიფოში, სადაც ,,არსებობს თანადგომა და პატივისცემა, სადაც ყველა ადამიანი თანასწორია განურჩევლად რასისა, სქესისა და ეროვნებისა“.

## დასკვნა

სახელმწიფოს სიძლიერეს, ლიდერობას განაპირობებს განათლების დონე. ის სახელმწიფო არის განვითარებული და მოწინავე, სადაც მთავარი საფიქრალი სრულფასოვანი განათლების მიცემაა მოქალაქეებისთვის. იმ მოქალაქეებისთვის, რომლის, თითოეულის ბედი სახელმწიფოს აბარია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს როლი აღზრდა - განათლების საქმეში დიდია, იმდენად დიდი, რომ მასზეა დამოკიდებული მომავალი. განათლების სისტემა ხომ განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ვითარებას. ამიტომაც, როგორიცაა სახელმწიფო, ისეთივეა განათლების სისტემაც.

სამაგისტრო ნაშრომში განვიხილეთ ისეთი პრობლემური საკითხი, როგორიცაა სახელმწიფოს როლი აღზრდა - განათლების საქმეში, განათლების აუცილებლობა როგორც აღზრდაში, ასევე მართვაში, ვინ არის გადაწყვეტილების მიმღები და რა ვითარებაში უწევს გადაწყვეტილების მიღება. ეს თემა აქტუალურია ნებისმიერ ეპოქაში და დღეისთვის მითუმეტეს. შევეცადეთ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვისთვის გაგვეცა პასუხი და არგუმენტებით განგვემტკიცებინა. გამოიკვეთა თუ რამდენად დიდ როლს თამაშობს სახელმწიფო აღზრდა - განათლების საქმეში.

პირველ თავში განვიხილეთ აღზრდისა და მართვის ერთობლიობა. კონკრეტულად ვისაუბრეთ აღზრდისა და მართვის ცნებაზე, ფუნქციის არსზე, აღზრდისა და მართვის ურთიერთმიმართებაზე, თუ რა კავშირშია აღზრდა და მართვა ერთმანეთთან.

მეორე თავში ვისაუბრეთ განათლების რამდენიმე ფუნქციურ ასპექტზე, კონკრეტულად კი განათლების ცნებაზე, ასევე რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს განათლების აუცილებლობას აღზრდის საქმეში და რამდენად საჭიროა განათლების აუცილებლობა მართვაში. მათი სინთეზური კავშირი ძლიერი, მყარი და ერთიანი სახელმწიფოს შესაქმნელად.

მესამე თავში განვიხილეთ სახელმწიფოსა და მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელ რამდენიმე კომპონენტზე, ვისაუბრეთ სახელმწიფოს ცნებაზე, ვიმსჯელეთ თუ რამდენად დიდია სახელმწიფოს როლი აღზრდა - განათლების საქმეში, რა კავშირშია მართვა, სახელმწიფო და გადაწყვეტილების მიღება ერთმანეთთან, ვინ არის გადაწყვეტილების მიმღები, რა ვითარებაში უწევს გადაწყვეტილების მიღება, როგორ გაართმევს თავს იმ პრობლემას, რომელიც გადაწყვეტილების მიღების დროს შეექმნება. რა ფუნქცია, რა მოვალეობა აკისრია განხილული საკითხების კვალდაკვალ.

მეოთხე თავში წარმოვადგინეთ სოციალური კვლევის შედეგები და ანალიზი, რომლებზე დაყრდნობითაც გავიგეთ თუ რა როლი აქვს სახელმწიფოს აღზრდა განათლების საქმეში. კვლევისა და ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრა, რომ გამოკითხულთა უმეტეს ნაწილისთვის უნივერსიტეტში მიღებული განათლება საჯარო სამსახურისთვის საკმარისია, რადგან უნივერსიტეტი სრულად აძლევს სტუდენტს განათლების მიღების შესაძლებლობას. კვლევისას, აგრეთვე, გამოიკვეთა, თუ როგორი უნდა იყოს კარგი მმართველი, რომ უნდა ინტერესდებოდეს ქვეყნის ბედით და შეძლოს გამოიყენოს ყველა ბერკეტი ქვეყნის სასიკეთოდ. ნათლად გამოიკვეთა, ის ფაქტიც რომ აღზრდას საჯარო სამსახურისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის განაპირობებს განვითარებული სახელმწიფოს სახეს.

აქედან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომში ვისაუბრეთ და განვიხილეთ ისეთი აქტუალური და პრობლემატურ საკითხები, როგორიცაა განათლების აუცილებლობა

სახელმწიფო მართვაში, თუ რამდენად კავშირშია ერთმანეთთან აღზრდა, მართვა, სახელმწიფო და განათლება. მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის საფუძველზე, მკითხველ აუდიტორიას ნათლად შეუძლია განსაზღვროს ის რგოლური თუ ჯაჭვური პრინციპი, რასაც ჩვენ მიერ განხილული უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები ქმნიან, განსაზღვრავენ, წასრულისა თუ აწმყოს კვალდაკვალ მომავალს გეგმავენ.

**დანართი**

**5. როგორ გესმით ტერმინი ,,განათლება“**

**121 პასუხი**

წარმატებული მომავალი

წარმატებულ მომავალს

მომავლის ჭვრეტა

უზრუნველყოფილი მომავალი

წარმატებული მომავლის გასაღები

- - -

სისტემურ ქმედებათა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ. განათლებაში აგრეთვე იგულისხმება შედეგი. განათლების მიღების ძირითადი გზაა სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც მჭიდრო კავშირშია აღზრდასთან.

განათლება ნიშნავს თავისუფალ, საღად მპაზროვნე ადამიანს, რომელიც მუდმივად მუშაობს საკუთარი თავის განვითარებისთვის

განათლება-წარმატებული მომავლის გზა 

განათლება ძალიან ფართო ცნებაა, ეს არის ცოდნა, ცოდნა და ცოდნა, რაც რათქმაუნდა არანაირ საბუთზე არ არის დამოკიდებული.

Ganatleba aris momavlis gza romelic agzrdastan sherwkmitaaa aucilebelia ganatleba

განათლება ეს არის უდიდესი განძი ყველაზე ძლიერი იარაღი ადამიანის ცხოვრებაში, დაუშრეტელი წყაროა, ადამიანის გაკეთილშობილების სიმბოლოა.

განათლებით იღებ ყველაფერს რაც გჭირდება მატერიალურსაც და სულიერსაც

პროცესი რომელიც შეგნებულად არის მიმართილი ადამიანის ფიზიკურ,ინტელექტუალურ და მორალურ უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ.

ამომუწრვადი ცოდნა იმ პროფესიაში რასაც ეუფლები

სწავლის გზით ცოდნის მიღება.

განათლება არის რითაც შეგიძლია მიიღო უმაღლესი ცოდნე

გზა ჯანსაღი მომავლისაკენ

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ადამიანების ცხოვრებაში. განალება საკუღარი შესაძლებლობების განვილარებაში გვეხმარება

განვითარება წინსვლა

საკუთარის მეს აღზრდაა.

როგორც შემდგარი და დამოუკიდებელი ადამიანის საწინდარი

პიროვნების განვითარების რაობა

□ლიერ და განვი□არებულ ადამიანს

განა□ლება არის ,,პროცესი " ადამიანის მორალური,ინტელექტუ□ური □ამოყალიბებისა.

□ამოყალიბებულ და სა□ად მოაზროვნე პიროვნება□ა ერ□ობლიობა

განვითარებას

ganatleba da agzrda ganapirobebs adamianis srulfasovnebas.adamianurobas humanurobas.

განათლება იგივე შეგნების დონე ადამიანში .

Erufirebuli

პროცესი , რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის განვითარებისაკენ.

საკუთარი თავის გაზრდა , გაძლიერება , საკუთარი საქმის სიყვარული . ა.შ...

ცოცოდნა კულტურა დისწიპლინა ადამიანობა აზროვნება

გაწონასწორებული - საღად მოაზროვნე

განათლება ეს გახლავთ ერის წარსული, აწმყო და მომავალი, რაც უპირველესად განსაზღვრავს ცნობიერებას და მომავლის ჯანსაღ გარემოს.

განათლება არის ჩემთვის საჭირო დროს საჭირო სიტყვის თქმა და ადგილზე ყოფნა.

განათლებაა ყველაზე მთავარი დაყველაზე მიღებულია მთელს ცხოვრებაში რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდისას და პიეოვნებად ჩამოყალიბებისას

წარმატება

განათლება ეს არის ცოდნა და შემდგომში ამ ცოდნის ცხოვრებაში სწორად გამოყენება

ყველა სფეროში ჩართულობა და აზრის გამოხატვა როცა შეგიძლია

იცოდე საკუთარი პროფესია მაღალ დონეზე თუმცა გარკვეულ ინგორმაციას ფლობდე სხვა სფეროებშიც

სისტემურ ქმედებათა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ. განათლებაში აგრეთვე იგულისხმება შედეგი. განათლების მიღების ძირითადი გზაა სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც მჭიდრო კავშირშია აღზრდასთან.

საგნებისა და მოვლენების არსში გარკვევა, ასევე სხვადასხვა მიმართულებით საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება და გაანალიზება

განათლება ეს არის ადამიანი "ნათელი" ყოველმხრივ. (სრული სერიოზულიბით ვაცხადებ)😁

განათლება, ეს არის ადამიანისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მიცემა, რომელსაც იგი.ცხოვრებაში გამოიყენებს.

როგორც ინტელექტუალი ცოდნა და მისი შესაბამისი გამოყენება

მცოდნე და აღზრდილი პიროვნება

“განათლება” თვითონ სიტყვა გვეუბნება რომ ის არის ერთ- ერთი მთავარი ნათელი წერტილი, რომლის გარეშეც ცხოვრებას ნათლად და წარმატებით ვერ განვლი

სული სიბნელის გარეშე

ცნობიერების ამაღლება

ადამიანი როგორც შემდგარი და ჩამოყალიბებული

"სინათლე გონებაში"

გარკვეული ქმედებების პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს დასახული ქმედების უნარების განვითარებას

განათლება ეს არის ის რითაც ვსაზრდოობთ და ვფუნქციონირებთ საზოგადოებაში

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა - რაიმეს გაგება და გაანალიზება შეგნება.

განათლება ეს არის წარმატებული მომავლის გასაღები🤝

განათლებული ადამიანი ყოველთვის წარმატებულია და შესაბამისად განათლება ჩემთვის პიროვნების განვითარებას ნიშნავს

სისტემურ ქმედებათა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ.

Mudmivi siaxlis migeba

Nakitxi adamini ganatlebuli

განათლება არის ის რის გარეშეც ვერ წარმომიდგენია ადამიანის მომავალი. ვგულისხმობ არამარტო უმაღლეს განათლებას.

გამათლებული თუ არის ადამიანი ბევრად წინ იხედება, არ ეშინია დაბრკოლების და იბრძვის წინ წარმატებისაკენ.

განათლება არ გულისხმობს მხოლოდ სწავლებას, მისი მიზანია აღზარდის მომავალი თაობა და მოამზადოს ცხოვრებისთვის

განათლება არ არის ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ წინგნის კითხვა არსებობს მრავალმხრივი განათლება.

ადამიანის მომავალი

სწავლა

მომავლისკენ სწრაფვა

განათლება მნიშვნელოვანია ადამიანისთვის ,რადგან ეხმარება საკუთარი თავის რეალიზებაში

განათლება ეს არის პიროვნების ინტელექტუალური,მორალური უნარჩვევების განვითარება.

შეგნება განვითარება

თავისუფლება არჩევანი მომავალი

ადამიანური რესურსების განვითარება და წინსვლა

განათლება არ ნიშნავს უმაღლეს.მთავარია აღზრდა გვქონდეს უმაღლესი

თავისუფლება მომავალი არჩევანი

უდიდესი განძი

შედეგი

განათლება — სისტემურ ქმედებათა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ. განათლებაში აგრეთვე იგულისხმება შედეგი. განათლების მიღების ძირითადი გზაა სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც მჭიდრო კავშირშია აღზრდასთან. განათლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითგანათლებას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ-შრომით საქმიანობაში მონაწილეობას. განათლების საერთო და სპეციალური (პროფესიული) დონე განპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის, წარმოების მოთხოვნებით.

მომავლის წყარო

განათლებული ადამიანი უმაღლესად შეგნებულია

აუცილებელი

Ganatleba es sistematuri procesia romlis drosac igeb codnad da idzen axal unarchvevebs ganatleba sheidzleba miigo rogorc skolashi aseve sxvadasxva dawesebulebebshic.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება

უზრუნველი და წარმატებული მომავლის სახე

მომავლის უზრუნველყოფა

ჭკვიანი და წარმატებული მომავლიის თაობა

მომავლის გასაღები😉

წარმატებული მომავლის შექმნის წყარო

უზრუნველი მომავალი ცხოვრება

თავისუფლება!

გაბრწყინებული მომავლის შექმნა

უზრუნველყოფილი მომავლის სახე

წარმატებული მომავალი!

მწიგნობარი

წარმატებულ და უზრუნველ მომავალს!

საკუთარი ინტელექტის განვითარება

განათლება არის ცოდნა, რომელსაც ვერავინ წაგართმევს და შეძლებ გამოიყენო სადაც დაგჭირდება

განათლება ჩემთვის სოფმხედველობის გამრავალფეროვნება და გონებრივი შესაძლებლობის გაღრმავებაა და არა უმაღლეს სასწავლებელში სწავლა

## 9. თქვენი აზრით, რამდენად დიდია სახელმწიფოს როლი აღზრდა- განათლების საქმეში?

### 125 პასუხი

ძალიან დიდი

უდიდესი

ძალიან დიდია

მნიშვნელოვანია

უმნიშვნელოვანესია!

საშუალო

არც ისე დიდია

დიდი

უმნიშვნელოვანესი

- - -

სახელლმწიფოს როლი აღზრდა განათლების საკითხში დიდ როლს იკავებს რადგან სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი ადამიანებს გამათლების მიღებაში.

დიდია, რადგან სახელმწიფო არის ის ძალა და საშუალება, რომელშიც მცხოვრები მოქალაქე თავს გრძნობს დაცულად, აქვს იმის გარანტია რომ მიიღებს სრულფასოვან გარანტიას ქვეყნის სასიკეთოდ. პ.ს. წარმატებები

სახელმწიფო ქმნის განათლების სისტემას, ის გვთავაზობს ახალ გზებს განათლების გაუმჯობესების მიზნით..

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რადგან სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე განათლებას ვერ მივიღებთ

Udidesi roli akisria saxelmwifos agzra ganatlebaze

სწავლა-განათლების საქმეში სახელმწიფოს უდიდესი როლი აქვს,ფაქტობრივად მასზეა დამოკიდებული თუ როგორი განვითარებული მომავალი თაობა გვეყოლება.

რა თქმა უნდა ყველაზე დიდი როლი ამ საქმეში სახელმწიფოს მიუძღვის მისი მთავარი დაშინულებააც ესაა რომ დღითიდღე უჯობესდებოდეს აღზრდა- განათლების საქმეში თუ რა თქმა უნდა გვინდა უფრო ნათელი მომავალი რადგან განათლების გარეშე სახელმწიფოს მოქალაქები დაიჩაგრებიან.

სახელმწიფო მთავარ ბერკეტს წარმოადგენს განათლების საქმეში

უკიდეგანოდ. განათლება ეს არის ის ძალა რასაც შეუძლია ქვეყნის აღორძინება, განათლებული და ჯანსაღად მოაზროვნე თაობა საწინდარია გაბრწყინებული მომავლის.

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია განალების სფეროში, რადგან მას უნდა შეეძლოს ისელი გარემოს შექმნა სადაც ყველას შეეძლება კარგი განალების მიღება. სახლემწიფო ვალდებულია განაღლების სფეროში სხვა სფეროებღან შედარებიღ უფრო დიდი წვლილი შეიტანოს .

სრულად დამოკიდებულია სახემწიფოზე

აღზრდა განათლებაში სახელმწიფოც თავის როლს თამაშობს მაგრამ მის წინ ოჯახია, საიდანაც მოდის ბავშვი რომლის აღზრდაც მას აკისრია განათლებლების სრულყოფაზე კი უკვე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს

უდიდესი პასუხისმგებლობა ენიჭება სახელმწიფოს ამ კუთხით

რათქმაუნდა დიდია განათლება აისახება სახელმწიფოს მართვაზეც და ქვეყნის კეთილდღეობაზეც .

Saxelmwifos roli sakmaod didia saxelmwifos mxridan o

რათქმაუნდა სახელმწოფოს მართვის სისტემაა აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებით უდიდესია თუმცა ვფიქრობ ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს განსაკუთრებით პედაგოგებმა

უმნიშვნელოვანესია, სწორედ ეს განსაზღვრავს ძლიერი სხელმწიფოს სახეს

დიდია, რადგან სახელმწიფოს სი□ლიერეს ის განსაზ□ვრავს

უმ□ავრესია სახელმწიფოს როლი ა□ზრდა-განა□ლება□ი

მნი□ვნელოვანია რადგან განაპირობებს □ლიერ სახელმწიფოს მნი□ვნელობას

მთავარი როლი უჭირავს

saxelmcifo roli agzrda ganatlebashi uketesic sheiclebaa saxelmcifom unda gaaketos kvelaferi tavisi mokalakis agzrda ganatlebistvis

ჩემი აზრით გადამწყვეტიცაა .

ძალიან დიდია სახელმწიფოს ტოლი

სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ყველანაირი პირობა რათა ნასწავლი და განვითარები თაობა მივიღოთ

ერთ-ერთი მთავარი როლი უჭირავს ჩემი აზრით სახელმწიფოს განათლების განათლებისა და აღზრდის საქმეში ...

□ალიან დიდია

საკმარისია

უპიველესია!

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს

უმნიშვნელოვანესია. სახელმწიფო უნდა ცდილობდეს ახალი ინოვაციური და სწორი მეთოდების დანერგვას აღნიშნულ დარგში

ბოლო წლებში საკმაოდ კარგია

უმნიშვნელოვანესია

ძალიან დიდი როლი აქვს სახელმწიგოს აღზრდა-განათლების საქმეში

ერთ-ერთი გადამწყვეტია

მე კობა კახაძე ვფიქრობ რომ უმთავრესია

სახელმწიფოს როლი განათლებაში ერთერთი უმნიშვნელოვანესია

მშობელთან ერთად გადამწყვეტი...

მთავარ როლს ასრულებს სახელმწიფო. ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიმუშავოს რომელიც არ შეზღუდავს პედაგოგებს და არ მისცემს უფლებას მოსწავლეებს გამოიყენენონ ის სულელური უფლებები რაც დღეს აქვთ მინიჭებული, რის გამოც სწავლის პროცესი არ მიმდინარეობს სწორად

უპირველესია

ცისოდენა როლი აქვს

არც ისე დიდი.

სახელმწიფო სწორედ ის ბერკეტია რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს მომავალი თაობის აღზრდა განათლებაში

ძალიან ფართო და სავალდებულო ასპექტია, თუმცა ჩვენი სახელმწიფო ჯერჯერობით ვერ ახერხებს ამ სტანდარტების დამკვიდრებას!

სახელმწიფოს როლი მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია მომავალი თაობის აღზრდა-განათლებაში, რადგანაც კარგად აღზრდილი და განათლებული შვილი როგორც დედის გულის ვატდია ასევე ქვეყნის წარმატებული მომავლის საწინდარია.

საშუალოდ

ბოლო დროს განსაკუთრებით უარესობისკენ მიექანება განათლების პროცესი

Upirvelesia

Zalian didi

მეტიც შეიძლება

საკმაოდ დაბალია სამწუხაროდ

სახელმწიფოს აქვს ის ბერკეტი რითიც შეუძლია განათლების სფერო წინ წამოწიოს და ხელი შეუწყოს ამით ქვეყნის განვითარებას

მნიშვნელოვანია რადგან განაპირობებს ქვეყნის განვითარებას

დიდია, რადგან ის განაპირობებს ქვეყნის მომავალს

ძალიან დიდ როლს თამაშბს

yvelaze didi roli saxelmwifosia ganatlebis misaxebad

მეტნაკლებად

იმდენად რამდენადაც მშობლის როლოა მნიშვნელოვანი

ყველაზე დიდი როლი ეკისრება სახელმწიფოს აღრზდა _განათლების საქმეში.სახელმწიფომ უნდა იზრუნოს და შეუქმნას სათანადო პირობები თავის მოქალაქეებს განათლების მიღებაში.

სახელმწიფო ს როლი აღზრდა განათლებაში დიდია რადგან მოზარდებს უნდა შესთავაზონ ხარისხიანი სისტემა

უნდა იყოს ძალიან დიდი ჩართულობა

ამ ეტაპისთვის არ ვარ კმაყოფილი განათლების სისტემით.სახელმწიფო ვალდებულია რო უფრო დიდი როლი შეასრულოს განათლების საქმეში ვიდრე ეხლაა.

საკმაოდ მაღალი

ამ კითხვაზე არ მაქვს პასუხი

😊😊

უმნიშვნელოვანესია, რადგან განაპირობებს ქვეყნის ძლიერ მხარეს

Nawilobriv

უმაღლესი

მინიმუმზე ოდნავ მეტი

Vfiqrob ufro metiaa sawiro.vidre dgesdgeisobit aris

სახ-ო უნდა ზრუნავდეს იმისათვის რომ პროფესიონალი თაობა აღიზარდოს

ძალიან დიდი, რადგან ქვეყნის ბედი მასზეა დამოკიდებული

მნიშვნელოვანია, რადგან განაპირობებს ქვეყნის სიძლიერეს

უაღრესად დიდი!

მნიშვნელოვანია, რადგან განაპირობებს ძლიერი ქვეყნის სიმბოლოს!

მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფოს მომავალი სწორედ აღზრდა_განათლებაზეა დამოკიდებული!

დიდია, მასზე ხომ არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალს!

მნიშვნწლოვანია!

უზარმაზარი

ძალიან დიდი!

აქტიურად უნდა იყოს ჩართული

უმნიშვნელოვანესი, მასზეა დამოკიდებული თითოეული მოქალაქის ბედი

მნიშვნელოვანია, რადგან ნებისმიერ სტრუქტურას ჭირდება ფინანსებს და თანადგომა

სახელმწიფო უნდა ცდილობდეს ბევრი ტრენინგი ჩაატაროს და დაანახოს მოსწავლეებს რაოდენ მნიშვნელოვანი და სასარგებლოა განათლების მი

სახელმწიფოს მომავალი მასზეა დამყარებული, ამიტომ ძალზედ დიდია!

სამწუხაროდ არც თუ ისე არის განვითარებული ეს საკითხი თუ ევროპის მაგალითებს შევადარებთ ძალიან დაბალი დონე არის

ნორმალირად

დიდია, მასზეა დამოკიდებული ქვეყნის ყოფნა არყოფნის ბედი

ყველაზე მნიშვნელოვანი

## 14 დაბოლოს, როგორ სახელმწიფოში ისურვებდით ცხოვრებას?

## 136 პასუხი

მე ვისურვებდი ვიცხოვრო ისეთ სახელმწიფოში სადაც ყველა ადამიანი თანასწორია განურჩევლად რასისა სქესისა ეროვნებისა.

სახელმწიფოში, სადაც არ შიათ, არ სწყურიათ არ ფიქრობენ თუ როგორ გამპიკვებპნ თავი.სახელმწიფოში, სადაც ეკონომიკურად და სოციალურად ძლიერი და მყარია. სახელმწუფოში სადაც ყველას შეეძლება განათლების მიღება და უზრუნველი ცხოვრება. პ.ს. საინტერესო კითხვები იყო.

სამართლიან და ძლიერ სახელმწიფოში, სადაც იქნება ერთიანობა და არ იქნება ბრძოლა ძალაუფლებისთვის.

სახელმწიფოში სადაც ხალხი მნიშვნელოვანი იქნება. სახელმწიფოს სათავეში მყოფნი მხოლოდ საკუთარ თავზე არ იფიქრებენ და ყველა რესურსი რაც არსებობს გამოყენებული იქნება საჭიროებისამებრ

Ganatlebul agzrdil zlier da gamtlianebul saxelmwifoshi visurvebdi cxovrebas sadac ar ichagrebian bavshvebi soc daucvelebi da ar bzinvarebs fenobrivi dayofa da yvela daxmarebas cdilos ertmanetze da aramarto cdilobs sadac saxelmwifo ar axshobs tavisufal sityvas sadac ar igupebian axali taobebi narkotiksa da quchur garchevebis fonze danashauli ar ifareba chinovnikebis mier kamondamcvelebi ki kompetenturni arian moqalaqeebis mimart

ძლიერ, მყარ და განვითარებულ სახელმწიფოში.

ვისურვებდი,დამოუკიდებელ,მშვიდობიან და ჩამოყალიბებულ სახელწიფოში ცხოვრებას.

თანასწორ, განათლებულ, ერთიან, ტოლერანტ საქართველოში

ერთიან განათლრბულ ეკონომიურად ძლიერ სახელმწიფოში.

სახელმწიფოში რომელშიც ადამიანს თავისი შრომისუნარიონების და განათლების დონის მიხედვით ექნება სამსახური და იგი არ დაიჩაქრება საზოგადოებაში . სახელმწიფომ უნდა დაასქმოს ხალხი რათა ისინი ბრძოლისუნარიანები გახდნენ სწორედ ეს უბიძგებს სახელმწიფოს და ხალხს რომ გახდნენ უკეთესები და შეცვალოთ მათი ცხოვრება უკეთესობისკენ.

სადაც დაცულები და უზრუნველყოფილები ვიქნებოდით, სადაც ადამიანები ადამიანურობით დაფასდებიან და არა ზმანით თუ თანამდებობებით, იქ სადაც ყველა საქმეს თზბიდი სპეციალისტი ეყოლება, სადაც მომავალი თაობის აღზრდა-განათლება უმაღლეს დონეზე იქნება, სოფლის მეურნეობა უნდა აღორძინდეს(ჯანსაღი საკვები წყაროა ჯამრთელი ორგანიზმის )......

Tavisufal da zlier saxelmwifoshi ,romelsac sheuzlia sakutari moqalaqeebis dacva da gafrtxileba.

მშვიდ და ძლიერ სახელმწიფოში სადაც ბავშვებს არ შიათ არ წყურიათ და არ ეშინიათ

განვითარებულ და გაბრწყინებულ

ისეთს სადაც მოხუცებს ხელ გაშლილს არ დავინახავ ქუჩაში .ისეთს სადაც ბავშვები არ იქნებიან მშიერი .ისეთს სადაც არ შემეშინდება სიბერის 🙏

ეკონომიკურად განვითარებულ და დაცულ სახელმშიფოში

თავისუფალ, მოწესრიგებულ, განათლებაზე და ხალხზე ორიენტირებულ, ტოლერანტულ სახელმწიფოში რომელიც ეკონომიურად ძლიერია

Saxelmwifoshi sadac xalxi tavisufali iqneba ganatlebas saxelmwifos mxridan fasi miecema da axalgazrdebi umagles ganatlebis saxlshi ro ar dajdebian. Shromiti uflebebi daculi da qveyana xalxze morgebulida ara chinovnikebze

თავისუფალ მშვიდ ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოში

მაღალგანვითარებულ ცივილიზებულ ქვეყანადი სადაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები და რაც შეიძლება მეტი განათლრბული ადამიანი

□ლიერს, მ□ლიანს და გაბრწყინებულს

ერ□იან,□ლიერ,დამოუკიდებელ სახელმწიფო□ი.

ყველა რომ ბედნიერია ადამიანები მუშაობენ თავისი პროფესიით და კიდე უფულოებს და გლეხებსაც უნდა შეეძლოთ განათლების მიღება მხოლოდ შეძლებული ოჯახის შვილები არუნდა იყონ მოწინავენი

ისეთ სახელმწიფოში ვისურვებდი სადაც იქნება სიმშვიდე და დაცულად ვიგრძნობთ თავს

tavisufal ertians ekonomikurad zlier sadac bavshvebi ar iknebian mshivrebi xolo srulclovnebi usakmurebi.ikneba samsaxurebi ganatleba da ertianoba.kvela ertistvis erti kvelastvis

ისეთში , სადაც ქვეყვის წამყვანი პირები არა თავიანთი ჯიბეების გასქელებაზე , არამედ ხალხზე იფიქრებენ .

ისეთში სადაც ვიქნებით დაცული ,იქნება სიტყვის თავისუფლება და გვექნება ნორმალური სამსახური ნორმალური ანაზღაურებით

ძლიერ, განვითარებულ და გაერთიანებულ.

გაერთიანებულ ,ძლიერ და ერთიან სახელმწიფოში მსურს რომ ვიცხოვროთ ...

ლიერ დემოკრატიულ და განალებული

ისეთში სადაც პოლიტიკოსები ერთმანეთს არ ,,ჭამდნენ" და არ იძახოდნენ ,,ამას თუ იმას" არ აკეთებენო - ედთხელ თქვან ,,ეს გავაკეთოთო"!...

რომელიც უპირველესად ორიენტირებულია ეროვნული ცნობიერების ამაღლებაზე. მისთვის უპირველესი უნდა იყოს ეროვნულობა!

სადაც განათლებას, პატიოსნებას და ადამიანის უფლებებს მიენიჭება უპირატესობა.

მშვიდ დალაგებულ და უზრუნველყ9ფილში

ვისურვებდი, ისეთ სახელმწიფოში ცხოვრებას, სადაც დაცულია დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ელემენტები, როგორიცაა: უსაფრთხო გარემო, სიტყვის თავისუფლება, კანონის უზანაესობა, თავისუფალი ბიზნესი

მშვიდობიან სახელმწიფოში, სადაც მოქალაქე არ იქნება მშიერი და უსახლკარო და კიდევ მრავლი რამ...

სახელმწიფოს ძლიერი მმართველებით სათავეში

განათლებულ და თავისუფალ,დემოკრატიულ სხელმწიფოში

ბედნიერ. (აი როგორი იცი? ყველას რომ ერთმანეთი ძალიან უყვარს, ყველა ერთმანეთს რომ ძალიან აფასებს, და არსებული პრობლემების მიუხედავად ერთმანეთს რომ პატივს სცემენ. მოკლედ შეგნებულ ხალხსა და ქვეყანაში ცხოვრება მინდა. გვიშველე რამე

ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში, ს, პატრიოტული სულისკვეთების მქონე ქვეყანაში, სადაც არსებობს თანადგომა და პატივისცემა

ინსტიტუციურად მოწესრიგებულში...

ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოში, სადაც სოფლის მეურნეობა ყვავის, თუ სოფლის მეურნება ყვავის შესაბამისად ეკონომიკაც მყარია, ძლიერი სახელმწიფოები ზუსტადაც რომ სოფლის მეურნეობის წყალობით არიან ძლიერები. და ამ ყველაფრის თავი და ბოლო რა თქმა უნდა განათლებაა. თუ გაუნათლებელი საზოგადოება გვეყოლება არც ეკონომიკა იქნება და სახელმწიფოზე საუბარიც კო ზედმეტია.

ძლიერს ეკონომიკურად, სულიერად და გონებრივად , რაც განათლების წინსვლით მიიღება.

წარმატებულში ძლიერში და გაერთიანებულში

ისეთს, რომელშიც არ მკმიწევს რაიმეს მტკიცება და ვიქნები თავისუფალი მოქალაქე!

გქნვითარებულ, ძლიერი", შეგნებულ, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიან თაობებს რომ აღზრდის ისეთში.

ჯანსაღ, ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად, სოციალურად მოწესრიგებულ ქვეყანაში

თავისუფალ, გამთლიანებულ, განვითარებულ,განათლებულ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში.

მსურს ვიცხოვრო ისეთ ქვეყანაში სადაც განათლება ყველასათვის უფასო იქნება და იარლიყებით დაყოფა არ იქნება საზოგადოების. მსურს ყველა ბავშვს ჰქონდეს ის მინიმალური შესაძლებლობა რასაც საშუალო განათლების მიღება ჰქვია.

თავისუფალს გამთლიანებულს და ეკონომიკურად ძლიერს

სეკულარულ, გაერთიანებულ და გაძლიერებულ სახელმწიფოში

ჩემი სახელმწიფო უაღრესად კარგია...სახელმწიფო მმართველებს თუ არ ჩავთვლით

ისეთში, რომელშიც ყველა ადამიმის უფლები იქნება დაცული.

თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოში, სადაც საზოგადოებას მიეცემა საკუთარი აზრის დაფიქსირება ყველანაირი ზეწოლის გარეშე.

სადაც დაცულია თითოეული მოქალაქის უფლება, არ არის შიში აზრის დაფიქსირებაზე

სახელმწიფო რომელშიც არ იქნება ამდენი გაჭირვებული და უსახლკარო ადამიანი სახელმწიფოში სადაც ამდენი დაუსაქმებელინადამიანი არ იქნება

უსაფრთხოსა და დაცულს..და რაც მთავარია დემოკრატიულში

სახელმწიფოში,სადაც არის სათანადო რესურსები თითოეული მოქალაქის აღზრდა_განათლებისთვი

სადაც ძლიერი და განათლებული მმართველები წარმმართავენ ხალხის ბედსს.

**ბიბლიოგრაფია**


1. ბასილაძე.ი, ბალანჩივაძე.ი, ბერუჩაშვილი.მ. - ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების სხვადასხვა ასპექტები, ქუთაისი 2018წ; 205, 257 გვ
2. გურამიშვილი,დ. 1778 წ
3. იზორია.ლ. - თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, 2009 წ, 32, 108 გვ
4. კონსტანტინოვი.ნ.ნ და სხვები, პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1964 წ, 75გვ
5. ნარმანია.დ - ეკონომიკური მეცნიერების თეორიული და პარადიგმული საფუძვლები, 2018 წ, 74გვ
6. პლატონი. - სახელმწიფო, გამომცემლობა ნეკერი, 2003 წ, 292გვ
7. სვანიძე.ლ, - ლექციები ეკონომიკურ ფსიქოლოგიაში, თბილისი 2009 წ, 178 გვ
8. უზნაძე.დ, - ,,ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები“, 1917 წ

9. ქობალია.ქ, - პედაგოგიური ეთიკა, 2019 წ, 7 გვ
10. შუბლაძე. გ, მღებრიშვილი.ბ, წოწკოლაური.ფ, - მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი 2008 წ, 66, 70 გვ
11. ხუხუა.გ, - პედაგოგიკა, თბილისი 2009 წ, 142-143 გვ

**ინტერნეტ-წყაროები**

1. https://tomiajara.wordpress.com/2018/02/06/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A1/?fbclid=IwAR2cY-XVIwaxCinwc4jFIkIgT35AuYgdQCK83IH34pdBxxCv6rD_fjsJ4zg
2. https://www.facebook.com/vladimer.gorozia/posts/1381629538529022
3. https://nes-g.org/ka/articles-ge/2019-10-24-17-12-11?fbclid=IwAR1DEdWCv6Ql49G_2qJ1rCFf00N0QzTtiFs-9n4WBgxjpqoPoEoMJ0HjPcU
4. http://mastsavlebeli.ge/?p=29905&fbclid=IwAR1CxmQDd2QtC1SEjqsDjuvwZoI8LkhFwfrv2JGvcauY_a0hvh63asqd3Uo
5. https://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/shromis-bazarze-unarebis-sheusabamobis-aghmopkhvra?fbclid=IwAR3i6XBMXWqluwh4CSs4ZC6dH_m1L6s6WKus3TJnYwYFUsV9uFvJgbhsJUA
6. https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-19?fbclid=IwAR2CJA0s_Lkmb2upUKAimzDBUPE4vKliDDAH0FeYdk6nkziRVTzuXLg8mFk
7. https://momsedu.ge/?fbclid=IwAR1uWXnHU4iPZ2Bdgwkgh6rgAIsVOlYkXSwJ1lxb06OItKSR-Btoz1xOacs

8. https://momsedu.ge/?fbclid=IwAR1TZi8qlAkbpjg1bZ_BG287E9uB7OpKQTVK63w4lMNszq1K5GvSLUUpB0c
9. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98?fbclid=IwAR1YPRXtDiqVKyGlRhA-JHCmM1KBR_vS9BuX2C4pBBER_bCC9A9yHT_Wd2s
10. https://youtube.com/watch?v=DMwiXHRIz3E&feature=share&fbclid=IwAR2mlFwu7wNO_TzCtSy19sBNqZXRry_NpFEDYIdWhRspBM3s8QvR1vWawjU